ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

«ის კი არაა სირცხვილი, რომ მეგრულად საუბრობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენ ქართველებს არ გვესმის მეგრული», — აკაკი შანიძე.

№502 (561) 23 ივნისი - 7 ივლისი 2021 წ. სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» ორგანო ფასი 50 თეთრი

ალექსანდრე ჭაჭია:

3-4-5

## «ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ხელისუფლება, პოლიტიკური პარტიები და, სამწუხაროდ, ქართული საზოგადოების ნაწილიც აფხაზეთის დაკარგვას შეეგუა»





დააკვირდით, რა ხდება ბოლოდროინდელ საქართველოში: დაილუპა ათიათასობით ქართველი, დაიკარგა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, გაიძარცვა და განადგურდა ქვეყნის ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალი, ცხოვრების აუტანელი პირობების გამო, ემიგრირებულია მილიონზე მეტი მოქალაქე, შიმშილი და სიღატაკე ჩვეულებრივ მოვლენად ქცეულა, მაგრამ ამის გამო ხელისუფლებაში მყოფთაგან პასუხი არავის უგია



8-9

## რატომ არ აშენდა «ანაკლია პორტი»?! — «ეს ჟურნალია, შენ კინო ნახე!»





## როგორ ებრძოდნენ ქარებს ლაზები და მეგრელები

10

## ღომი — აგროტექნიკა, მოვლა-მოყვანის წესები

11





# სექტორები საქართველოში, სადაც ყველაზე მაღალი/ დაბალი ხელფასია

**2021 წლის 1-ელ კვარტალში საქართველოში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4.4 პროცენტით (53.5 ლარით) გაიზარდა და 1 256.2 ლარი შეადგინა.**

საქსტატის მონაცემებით, ყველაზე მაღალი ხელფასი ტრადიციულად სადაზღვევო და საფინანსო საქმიანობის დარგშია. კერძოდ, წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, ამ სფეროში დასაქმებულების ხელფასი 2 448.5 ლარია.

„ბიზნესპრესნიუსი" გთავაზობთ სექტორებს, სადაც 2021 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით ყველაზე მაღალი/დაბალი ხელფასია:

**საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა — 2 448.5 ლარი**

**ინფორმაცია და კომუნიკაციები — 2 159.8 ლარი**

**პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები — 1 798.9 ლარი ლარი**

**მშენებლობა - 1 664.5 ლარი**

**სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება — 1 639 ლარი**

**სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება — 1 527.6 ლარი**

**ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება — 1 518.4 ლარი**

**ტრანსპორტირება და დასაწყობება — 1 463.9 ლარი**

**ჯანდაცვა და სოცილური მომსახურების საქმიანობები — 1 164.4 ლარი**

**დამამუშავებელი მრეწველობა — 1 163.2 ლარი**

**უძრავი ქონების ოპერაციებთან დაკავშირებულ საქმიანობები — 1 154.4 ლარი**

**საბითუმო და საცალო ვაჭრობა — 1 128.1 ლარი**

**ხელოვნება, გართობა და დასვენება — 953.9 ლარი**

**ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები — 885.6 ლარი**

**სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა — 828.8 ლარი**

**განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები — 864.6 ლარი**

**განათლება — 807.9 ლარი**

**წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები — 748.6 ლარი**



# დავით ყიფიანი - 70

## 1951 წლის 18 ივნისი დავით ყიფიანის დაბადების დღეა და მას ახლა 70 წელი შეუსრულდებოდა...

**ის იყო მობურთალი, რომლის თამაშიც მე პირადად მანიჭებდა უდიდეს ესთეტიურ სიამოვნებას. დარწმუნებული ვარ ჩემსავით ფიქრობს ფეხბურთის უამრავი გულშემატკივარი, ყოველშემთხვევაში ისინი მაინც, ვისაც მისი ბურთაობა უნახავთ და თან გემოვნებასაც როდი უჩივიან...**

გულწრფელად ვფიქრობ, რომ დათოს მისი თანამედროვე და მისივე ამპლუის მობურთალთაგან ბადალი არ ჰყავდა...

არ იყო მასზე უკეთესი არც პლატინი, არც ზიკო, არც ანტონიონი... რაც შეეხება მარადონას — ის ჯერ კიდევ არ იმყოფებოდა დიდების ზენიტში, თუმცა, დიეგო საერთოდ სხვა განზომილებაა და ამაზე სიტყვას აქ აღარც გავაგრძელებ...

სიტყვა გამექცა და იმის თქმა მინდა: ყიფიანს რომელიმე ევროპულ გრანდში, რომ ეთამაშა — წარმოდგენილი მაქვს რამდენ გუნდურ თუ ინდივიდუალურ ტროფეის მოიხვეჭდა ეს გენიალური ათიანი...

ჰო, ვიცი, რომ იმ ავადმოსაგონარ პუტჩთან მიმართებაში არსებობს ყიფიანის მიმართ გარკვეული და როგორც ჩანს, საფუძვლიანი პრეტენზიები, მაგრამ, გთხოვთ, ამჯერად ტაბუ დავადოთ ამ თემას...

მერწმუნეთ, რომ ეს ძალიან მტკივნეულია ჩემთვისაც და მოდით ახლა უბრალოდ დათო ყიფიანი გავიხსენოთ, როგორც ლეგენდარული „დინამოს" გენიალური გამთამაშებელი და მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მობურთალი...

დათო, უფალმა გაანათლოს და აცხონოს შენი სული...

ღორონთქ განათას დო ოჩხონუას სქანი შური, დათო...

**ზურაბ კვარაცხელია**

# ზუგდიდში ზვიად გამსახურდიას სახელობის ბიბლიოთეკის მშენებლობაზე ტენდერი გამოცხადდა



**ზუგდიდში ზვიად გამსახურდიას სახელობის ბიბლიოთეკის ასაშენებლად ტენდერი გამოცხადდა.**

მუნიციპალური განვითარების ფონდის ინფორმაციით, საქართველოს მთავრობამ მიიღო სესხი აზიის განვითარების ბანკისგან „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა თანაბარი განვითარებისთვის" პროგრამის განსახორციელებლად და ამ სახსრების ნაწილი გამოყენებულ იქნება „ზვიად გამსახურდიას სახელობის ახალგაზრდული ცენტრის, საპრეზიდენტო ბიბლიოთეკისა და მუზეუმის მშენებლობა ქ. ზუგდიდში".

შესყიდვის ღირებულება 12 824 350.00 ლარია. ბიბლიოთეკა მეორე საჯარო სკოლის გვერდით მდებარე ყოფილი საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე აშენდება.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, ერთიან სივრცეში განთავსდება ახალგაზრდული ცენტრი და ბიბლიოთკა, სადაც მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა, ისარგებლოს თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკით და მრავალფუნქციური სივრცეებით. აქ მსურველებს



შეეძლებათ წარმოადგინონ საკუთარი იდეები, დანერგონ სიახლეები.

ზუგდიდში რომ ზვიად გამსახურდიას სახელობის ბიბლიოთეკა აშენდებოდა, ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ 2019 წლის მარტში განაცხადა.

თავდაპირველად მეორე სკოლის გვერდით მდებარე საბავშვო ბაღის რეკონსტრუქცია იყო დაგეგმილი, თუმცა სამუშაოების დაწყებისას გაირკვა, რომ შენობას საძირკველი მყარი არ ჰქონდა და გამაგრების სამუშაოები მხოლოდ საკმარისი არ იქნებოდა. შემდეგ გაირკვა, რომ აქ ბაღი აღარ აშენდებოდა.



# წიგნის მოყვარულმა ახალგაზრდებმა ზუგდიდში საინიციატივო ჯგუფი შექმნეს

**წიგნიერებისა და კითხვის პოპულარიზაციის მიზნით ზუგდიდელმა ახალგაზრდებმა საინიციატივო ჯგუფი ჩამოაყალიბეს.**

როგორც „ლაივპრესს" ზუგდიდის ბიბლიოთეკაში განუმარტეს, წიგნისადმი მიძღვნილი სოციალური აქციები, საჯაროდ კითხვის დღეები, საბიბლიოთეკო ბანაკები, წიგნების ეკრანიზებული კინოჩვენებები — ეს ის მოკლე ჩამონათვალია, რომელთა განხორციელებასაც უახლოეს მომავალში გეგმავს.

დაარსების ინსპირაცია გახდა ცნობილი ფრანგი მწერლის ანტუან დე-სენტ ეგზიუპერის ნოველა „პატარა უფლისწული".

„ვეფხისტყაოსნის" საჯაროდ კითხვის დღე გახდა დაფუძნებისა და პირველი აქტივობის დღე ცაიშში, იონა მეუნარგიას სახლ-მუზეუმში, სადაც პირველად ფრანგულ ენაზე ითარგმნა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა. ახალგაზრდებმა „ვეფხისტყაოსანი" წაიკითხეს ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, თურქულ, უკრაინულ, ესპანურ და რუსულ ენებზე. მკითხველებს გადაეცათ სამახსოვრო სიგელები", — ნათქვამია ბიბლიოთეკის მიერ გავცელებულ ინფორმაციაში.

# როგორ გაიზარდა ფასები საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში

**2021 წლის მაისში საქართველოში ფასების საერთო დონე რეკორდულად გაიზარდა. უფრო კონკრეტულად, მაისში წლიური ინფლაციის დონემ ქვეყანაში 7.7% შეადგინა. რაც შეეხება იმ ძირითად სასაქონლე ჯგუფებს, რომლებშიც ფასები ყველაზე სწრაფი ტემპით გაიზარდა:**

**ტრანსპორტი — ზრდა 17.4%**

**ჯანდაცვა — ზრდა 13.4%**

**ავეჯი და საოჯახო ნივთები — ზრდა 12%**

**სასტუმროები კაფე რესტორნები — ზრდა 11.8%**

რაც შეეხება ჩვენს მეზობელ თურქეთს, მაისში იქ ფასების ზრდის ტემპმა 16.59% შეადგინა. ფასები კი ყველაზე მეტად გაიზარდა:

**ტრანსპორტი — ზრდა 28.39%**

**საცხოვრებელი, წყალი ელ ენერგია — ზრდა 21.79%**

**ჯანდაცვა — ზრდა 19.30%**

სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფი — ზრდა 17.04%




რაც შეეხება სხვა მეზობელ ქვეყნებს, აზერბაიჯანში ფასების საერთო დონე ყველაზე დაბალი ტემპით გაიზარდა, კერძოდ, წლიური ინფლაციის მაჩვენებელმა ქვეყანაში 4.9% შეადგინა. რაც შეეხება რუსეთს, წლიური ინფლაციის დონე 6.02%-ით განისაზღვრა.

სომხეთში ფასების დონის ზრდა 5.9% იყო. რაც შეეხება ჯგუფებს, სადაც ფასებმა ყველაზე მეტად მოიმატა. მათ შორისაა:

**ტრანსპორტი — ზრდა 11.7%**

**საცხოვრებელი, წყალი ელ ენერგია - ზრდა 9.3%**

**სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფი — ზრდა 7.5%**

**ჯანდაცვა — ზრდა 6.2%**

ავტორი: **ნოდარ სირბილაძე**

# აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი!

**თანამემამულენო!**

გამოჩენილი პოლიტოლოგის, გამორჩეული ინტელექტუალის და გულმხურვალე მამულიშვილის, ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას ეს ინტერვიუ არახალია, ძველია, მაგრამ დღესაც უაღრესად აქტუალურია! ამიტომ, მივმართავ საზოგადოებრიობის გონებაგახსნილ წარმომადგენლებს, რომ არ დაიზარონ და ძალიან დიდი ყურადღებით გადაიკითხონ ის!

აი, მერე კი, გააკეთონ მისი შესაბამისი ანალიზი და გამოიტანონ ადეკვატური დასკვნაც ამ ბრძენკაცის ნააზრევიდან!

ინტერვიუ აღებულია ჟურნალისტ ნატო კორსანტიას მიერ და დაბეჭდილია გაზეთ „დილის გაზეთში“ 2001-03-02 წელს.

**ზურაბ კვარაცხელია**

## ალექსანდრე ჭაჭია:

## «ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ხელისუფლება, პოლიტიკური პარტიები და, სამწუხაროდ, ქართული საზოგადოების ნაწილიც აფხაზეთის დაკარგვას შეეგუა»

**დღეს ერის შენარჩუნებაზეა ლაპარაკი და არა ქართულ სახელმწიფოებრიობაზე: საქართველოს განვითარების უმთავრესი პირობა აფხაზეთის დაბრუნებაა.
ნახევრის ნახევარი გახდა საქართველო, — ამ გულისმომკვლელ სინამდვილეს გაზაფხულის პირველ დილასაც, იმედს და რწმენას დანატრებულ ქვეყანაში, ვერსად გაექცა თვით სიკეთით გამორჩეული მწერალი გოდერძი ჩოხელიც. ამ გაზაფხულიდან, იმ გაზაფხულიდან თუ არა, იმის იქითა გაზაფხულიდან მაინც გადმოგვეხედოს ერთიანი საქართველოსთვისო, — ესეც სინამდვილის გამოძახილი იყო.
ასეთ ქვეყანაში კი, სადაც ყველა ციხესიმაგრე და ციტადელი (ლამის იმედის კოშკიც) დაცემულია, მართლაც არავინ უწყის, რომელ ნანგრევქვეშ მოჰყვა სიმართლე, ან რომელი დათმობილი სათოფურიდან გვიმზერს ახალი საფრთხე.
ამ სიმართლისა და საფრთხის თავისეულ ხედვას გვიზიარებს პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია.**

**— აფხაზეთის ომის დაწყებიდან დღემდე გასული თითქმის 9 წლის მანძილზე ქართველმა პოლიტიკოსებმა ყველაზე დიდი მონდომებით და წარმატებით მხოლოდ ის შეძლეს, დრო და ჟამის შესატყვისად ემტკიცებინათ, რომ ეს ომი გარდაუვალი იყო და მისი თავიდან აცილება — შეუძლებელი. ამის პასუხად კი ისევ და ისევ აქტუალურია შეკითხვა, ნუთუ მართლა გარდაუვალი იყო აფხაზეთის ომი, მით უმეტეს, რომ ჩვენთვის ძველთაგან ცნობილი იყო რუსეთის ინტერესები საქართველოში, მთლიანად კავკასიაში და ამას რუსი პოლიტიკოსები თუ სამხედროები არც მალავდნენ. ამის დასტურად ბოლო დროს ხშირად მოიხმობენ ხოლმე მრავალთაგან ერთ-ერთის — გენერალ სიტინის მიერ ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში გაკეთებულ აშკარად ანტიქართულ გამონათქვამებს.**

— სიტინი სულაც არ ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი ფიგურა, რომ მისი სიტყვების მიხედვით ვიმსჯელოთ. თუმცა, შორეულ ისტორიას თავი დავანებოთ და პირდაპირ აფხაზეთის ომის მიზეზებით დავიწყოთ:

საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკისგან აფხაზეთის გამოყოფა და მისთვის ისეთივე სტატუსის მინიჭება, როგორიც ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკებს აქვთ, თურქეთის გენერალური შტაბის მიერ 50-60-იან წლებში შემუშავებული სტრატეგიული გეგმის ნაწილი იყო.

**გახსოვთ, ალბათ, 1978 წელი, როდესაც აფხაზებმა კატეგორიულად დააყენეს საქართველოს რესპუბლიკისგან აფხაზეთის გამოყოფის და რუსეთთან შეერთების საკითხი. ამ სურვილს თავიდან დიდი მხარდაჭერით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ ეშელონებში. მაგრამ მერე, ორ-სამ დღეში ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა და შეიცვალა იმიტომ, რომ საქმეში ჩაერია საბჭოთა კავშირის კგბ. მან პოლიტბიუროს გააცნო თურქეთის გენერალური შტაბის გეგმა, რომლის თანახმად, აფხაზეთი ახალი სტატუსის შეძენის შემდეგ, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან ერთად, მთიელ ხალხთა კონფედერაციაში უნდა გაერთიანებულიყო. მოგვიანებით კი უნდა დამდგარიყო ამ კონფედერაციის რუსეთიდან გამოყოფის საკითხი. მასზე გავლენას, ბუნებრივია, თურქეთი განახორციელებდა.**

**ეს იყო თურქეთის სტრატეგიული გეგმის ნაწილი, რომელიც შემდეგ ნატოს სტრატეგიულ გეგმაში შევიდა. ნატო ყველა ხერხს მიმართავს რუსეთის დასასუსტებლად, ამ რეგიონიდან მოსაკვეთად.**



ამ გეგმის თაობაზე ედუარდ შევარდნაძემ 1978 წელს შეიტყო. იგი დაუყოვნებლივ გაფრინდა მოსკოვში, სადაც ეს ინფორმაცია სსრკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ საკავშირო კგბ-ს ხელთ არსებულ მასალებთან ერთად განიხილა. მეორე დღეს კაპიტონოვი ჩაფრინდა სოხუმში და აფხაზებს გარკვევით უთხრა, რომ აფხაზეთი ნებისმიერ შემთხვევაში საქართველოს შემადგენლობაში რჩებოდა.

ამ ფაქტის გახსენებით იმის თქმა მინდოდა, რომ ედუარდ შევარდნაძე დიდი ხანია საქმის კურსშია. მან იცოდა და იცის, რომ არც თურქეთის და, მით უმეტეს, არც ნატოს სტრატეგია იცვლება ყოველ წელიწადს და არც ათ წელიწადში ერთხელ.

**რაც შეეხება აფხაზეთის ომის დაწყებას და რუსეთის როლს ამაში, ომის დაწყების წინა დღეს, 13 აგვისტოს ბიჭვინთაში ვიყავი ჩასული ჩემი ერთი უნივერსიტეტელი (დავამთავრე მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტი) მეგობრის სანახავად. ის იმ დროს ელცინის ერთ-ერთ თანაშემწედ მუშაობდა. საუბრისას მან მითხრა და, სხვათა შორის, ამას საჯაროდ პირველად ვამბობ: თქვენ ძალით არ უნდა შეხვიდეთ აფხაზეთში, თუ არადა, იძულებულნი ვიქნებით, ჩავერიოთ, რადგან თუ არ ჩავერიეთ, გამოდის, რომ ასე მთელ კავკასიას დავკარგავთ.**

**ასე რომ, რუსეთის ხელისუფლებისთვისაც მოულოდნელი იყო, რომ აფხაზეთის ომის პროვოცირება საქართველოს მხრიდან მოხდებოდა.**

**— იმ დროს, როდესაც საქართველოსა და თურქეთს შორის გამოკვეთილად კეთილმეზობლურ და კეთილმეგობრულ ურთიერთობას ესმება ხაზი, რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ ამ საკითხზე ასე ღიად ლაპარაკი?**

— თუ ობიექტური სურათი გვაინტერესებს, რა მოხდა აფხაზეთში, მაშინ ბოლომდე უნდა ვთქვათ სიმართლე. მე, რა თქმა უნდა, არა მაქვს დოკუმენტური მასალა, რომ თურქეთი მონაწილეობდა აფხაზეთის ომში, ან რომ მისი ზეგავლენით დაიწყო ეს ომი. შესაძლებელია, კონკრეტულად მას არც არაფერი გაუკეთებია და სულ სხვა ემისრებმა, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ან სულაც ჩვენში არსებულმა ძალებმა იმოქმედეს თურქეთის, ნატოს ინტერესების გათვალისწინებით. არავის არაფერს ვაბრალებ, ვლაპარაკობ ობიექტური სტრატეგიული სურათის, თურქეთის სტრატეგიული ინტერესის შესახებ ამ რეგიონში.

**ჩვენს მეზობელ ქვეყნებს შორის თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა და შეერთებულმა შტატებმა დიდი ხანია იგი რეგიონულ ზესახელმწიფოდ აღიარა, კავკასიაზე გავლენის გავრცელების უფლებით. თურქეთი ამერიკის ძლიერი სტრატეგიული მოკავშირეა და როგორც არ უნდა ვთხოვდეთ ამერიკას დახმარებას, იგი ამ რეგიონში ყოველთვის თურქეთის ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედებს. ეს აქსიომაა და ზეპირად უნდა ვიცოდეთ.**

**თურქეთს რომ სტრატეგიული ინტერესები აქვს საქართველოში, მთელ კავკასიაში და მის განხორციელებაზე ზრუნავს, ამაში უცნაური არც არაფერია, მაგრამ, ამ შემთხვევაში უმთავრესია საქართველოს ხელისუფლების პოზიცია, უნდა იცოდეს თუ არა მან მეზობელი ქვეყნების სტრატეგიული ინტერესები და უნდა მოქმედებდეს თუ არა ამ ინტერესების გათვალისწინებით?**

— მაგრამ, უპირველესად, და თანაც ასე გამოკვეთილად ხომ რუსეთსაც ჰქონდა და აქვს სტრატეგიული ინტერესები ამ რეგიონში. და თუ თურქეთის მიერ აფხაზეთის ომში მონაწილეობის კონკრეტული ფაქტები არ არსებობს, დადასტურებულია, რომ რუსეთი თავისი ცოცხალი ძალითა და ტექნიკით იბრძოდა

გაგრძელება იხ. მე-4 გვ.

**გახსოვთ, ალბათ, 1978 წელი, როდესაც აფხაზებმა კატეგორიულად დააყენეს საქართველოს რესპუბლიკისგან აფხაზეთის გამოყოფის და რუსეთთან შეერთების საკითხი. ამ სურვილს თავიდან დიდი მხარდაჭერით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ ეშელონებში. მაგრამ მერე, ორ-სამ დღეში ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა და შეიცვალა იმიტომ, რომ საქმეში ჩაერია საბჭოთა კავშირის კგბ. მან პოლიტბიუროს გააცნო თურქეთის გენერალური შტაბის გეგმა, რომლის თანახმად, აფხაზეთი ახალი სტატუსის შეძენის შემდეგ, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან ერთად, მთიელ ხალხთა კონფედერაციაში უნდა გაერთიანებულიყო. მოგვიანებით კი უნდა დამდგარიყო ამ კონფედერაციის რუსეთიდან გამოყოფის საკითხი. მასზე გავლენას, ბუნებრივია, თურქეთი განახორციელებდა. ეს იყო თურქეთის სტრატეგიული გეგმის ნაწილი, რომელიც შემდეგ ნატოს სტრატეგიულ გეგმაში შევიდა. ნატო ყველა ხერხს მიმართავს რუსეთის დასასუსტებლად, ამ რეგიონიდან მოსაკვეთად**

# აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი!

მე-3 გვერდიდან

**აფხაზეთში, თავისი თვითმფრინავებით ბომბავდა ჩვენს პოზიციებს და ქალაქებს. მაინც რა ხდებოდა, რუსეთი აფხაზეთში თურქეთის ინტერესების სასარგებლოდ და საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ იბრძოდა?**

— იმ დროისათვის რუსეთის ხელისუფლებას მთლიანად დასავლეთი აკონტროლებდა. რუსეთს საგარეო საქმეთა მინისტრად ჰყავდა კოზირევი, რომელიც პირდაპირ აცხადებდა, რომ ნატო ერთადერთ სტრატეგიულ ძალად უნდა დარჩეს მსოფლიოში. მაგრამ დავანებოთ ამ ყველაფერს თავი, შევეშვათ ყოველგვარ მესამე ძალას, რომელსაც ხშირად მოვუხმობთ ხოლმე და ერთხელ კიდევ ვიკითხოთ: არსებობდა საქართველოში მეტად თუ ნაკლებად მოაზროვნე ისეთი ადამიანი, რომელმაც არ იცოდა, რომ აფხაზეთში იარაღით შესვლა ომს მოასწავებდა და იქ ძალთა განლაგება, რუსეთის ბაზის გათვალისწინებით, ჩვენთვის აშკარად არასახარბიელო იქნებოდა?

მიუხედავად ამ რეალობისა, ეს მაინც ჩაიდინეს, რამაც უზომოდ დააბნია საქართველოს მოსახლეობა და ამ დაბნეულობას თითქმის მთელი წლის განმავლობაში ვერ დააღწია თავი. დაბნეულობას, ძირითადად, შევარდნაძის ფაქტორი იწვევდა. ვერავის წარმოედგინა, რომ შეიძლებოდა შევარდნაძეს ასეთი სტრატეგიული შეცდომა დაეშვა, უფრო მეტიც, ასეთი დანაშაული ჩაედინა ერის წინაშე.

მას აქეთ, წლების განმავლობაში, ქართულ საზოგადოებაში გაბატონდა ერთი მოარული ფრაზა: შევარდნაძეს რაღაც აქვს ჩაფიქრებული, შევარდნაძემ იცის, რას აკეთებს. ეს არის საბედისწერო ფრაზა, რომელიც თან ახლდა ყველა პრობლემას და, მით უმეტეს, აფხაზეთის პრობლემას. ფრაზა, რომელმაც მთლიანად მონუსხა და აპათიაში ჩააგდო საზოგადოება. ფრაზა, რომლის ზეგავლენითაც საზოგადოება პროცესებში აქტიურად ვერ ერთვებოდა. თუმცა, ყველა აშკარად ხედავდა, რომ ვიღუპებოდით, აფხაზეთი იკარგებოდა.

მიაქციეთ ყურადღება თვით აფხაზეთის დაკარგვის პროცესს: ყველა მოლაპარაკება, ყველა ხელმოწერილი დოკუმენტი ქართული მხარის საზიანო აღმოჩნდა.

საინტერესოა, რას ნიშნავს ეს ყველაფერი, ჯარის ასე უპასუხისმგებლოდ და გაუთვითცნობიერებლად შეყვანა აფხაზეთში, ქართველი მეომრების განიარაღება და ამის შემდეგ სოხუმის ბუნებრივი დაცემა, ტერიტორიის დიდი ნაწილის უბრძოლველად დატოვება? არავის არაფერს ვაბრალებ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა აიხსნას ეს ყველაფერი.

**— თქვენ, ალბათ, იმას გულისხმობთ, რომ ვიდრე არ გამოძიებულა და ბურუსით არის მოცული, რა მოხდა და რატომ მოხდა აფხაზეთში, ბურუსში იქნება მისი მომავალიც...**

— ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც პასუხისმგებლობის არანაირი სისტემა, პასუხისმგებლობის არანაირი მექანიზმი არ არსებობს. მით უმეტეს, როცა საკითხი ქვეყნის პირველ პირს შეეხება, ამიტომ ამ ეტაპზე არავითარი აზრი არა აქვს აფხაზეთის ომის მიზეზ-შედეგების შესწავლას, რაღაცების მტკიცებას.

**დააკვირდით, რა ხდება ბოლოდროინდელ საქართველოში: დაიღუპა ათიათასობით ქართველი, დაიკარგა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, გაიძარცვა და განადგურდა ქვეყნის ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალი, ცხოვრების აუტანელი პირობების გამო, ემიგრირებულია მილიონზე მეტი მოქალაქე, შიმშილი და სიღატაკე ჩვეულებრივ მოვლენად ქცეულა, მაგრამ ამის გამო ხელისუფლებაში მყოფთაგან პასუხი არავის უგია.**

არადა, ქვეყანაში პოზიტიური ძვრები შეუძლებელია ხელმძღვანელი კადრების პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტის გარეშე და ამიტომაც მრავალგზის ნათქვამს გავიმეორებ: აუცილებელია კადრების პერსონალური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მიღება. ქვეყანაში არსებულ კატასტროფულ ვითარებაში კი ყველა მხოლოდ „გუნდურ პრინციპზე", „გუნდურ პასუხისმგებლობაზე" ლაპარაკობს. თუ ასეა, მაშინ მოქალაქეთა კავშირი პოლიტიკური არენიდან უნდა წავიდეს, ხოლო მისი წარმომადგენლები — სახელმწიფო სტრუქტურებიდან.

ჩვენი ქვეყნის დღევანდელმა მმართველებმა კარგად უწყიან, რომ ხალხი თანდათან ყველაფერს ეგუება და რა დანაშაულებრივი ქმედებაც უნდა ჩაიდინოს ხელისუფლებამ, საზოგადოებას პროტესტის თავიც არა აქვს. ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი შეეგუა იმ აზრსაც, რომ აფხაზეთი დაკარგულია. აფხაზეთის სამშვიდობო პროცესი ხელისუფლებამ ხელოვნურად გააჭიანურა იმიტომ, რომ ხალხი ჯერ არ იყო მზად ნებისმიერი ტრაგიკული შედეგის მისაღებად. ახლა, როგორც ჩანს, დამშეული და გაყინული მოსახლეობა ყველაფრისთვის მზად არის. მაგრამ ამ დროს ჯანსაღ პოლიტიკურ ძალებს გააქტიურება მართებთ, რომ არ დაუშვან იმისი იურიდიული გაფორმება, რაც ამ ხელისუფლებამ ჩაიდინა.

**— როგორ წარმოგიდგენიათ ამ უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსავალი და საერთოდ, რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ აფხაზეთის დაბრუნება?**

— აფხაზეთის დაბრუნება ყველას თავისებურად ესმის. ბევრს მისი დაბრუნება წარმოუდგენია პირვანდელი სახით, იმ ყველაფრით, რაც იყო, ეს კი არასოდეს მოხდება. ამ აზრს უნდა შევეგუოთ, მიწა და ზღვა სამშობლო არ არის, სამშობლო არის ის საზოგადოება, რომელშიც ცხოვრობ. აფხაზეთის საზოგადოება კი იმ სახით, რა სახითაც არსებობდა, არასოდეს განმეორდება.

სინამდვილეში როგორ უნდა მოვიქცეთ, რისი გაკეთება შეგვიძლია?

თურქეთის ინტერესი გასაგებია და მასში ვერაფერს შევცვლით. მას შეიძლება, მხოლოდ ერთი — რუსეთის სტრატეგიული ინტერესი დავუპირისპიროთ, რომ მას ფსოუზე ნატოსთან და თურქეთთან საზღვარი არ ჰქონდეს, ვინაიდან, მხოლოდ იდიოტებმა შეიძლება არ დაიჯერონ, რომ თუ საქართველო ნატოში გაწევრიანდება, ეს უკანასკნელი კი საქართველოში თავის ჯარებს შემოიყვანს ფსოუზე ჩასაყენებლად, ეს აუცილებლად თურქეთის ჯარი იქნება. ამ რეგიონში ნატოს წევრი ქვეყანა თურქეთია და, როგორც ზემოთაც ვთქვი, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დიდი ხანია თურქეთი რეგიონულ ზესახელმწიფოდ აღიარა — კავკასიაზე გავლენის გავრცელების უფლებით.

ამ ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ უნდა შევძლოთ რუსეთის გამოყენება საიმისოდ, რომ არ დაუშვას (შესაბამისი ბერკეტები, ჯერჯერობით, აქვს) აფხაზეთში სხვა ერების ჩასახლება. ეს, უპირველესად, თურქებს შეეხებათ.

**— აფხაზების მიერ მუჰაჯირების დაბრუნებას გულისხმობთ?**

— თუნდაც ამას და ეს პროცესი უკვე დაწყებულია. რუსეთმა, ასევე, არ უნდა დაუშვას, რომ აფხაზეთში ჩრდილოეთი კავკასიის ხალხები და სომხები ჩასახლდნენ. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, შესაძლებლად მიმაჩნია იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ხელისუფლებაში მოვა ეროვნული ძალა. ამის შემდეგ უნდა დაიწყოს მოლაპარაკება რუსეთთან, რათა დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ აფხაზეთში დევნილები და, პარალელურად, გაიხსნას სატრანსპორტო მაგისტრალი.

**— და ეს ყველაფერი აფხაზების იურისდიქციის ქვეშ?**

— დიახ, ამ ეტაპზე უკეთეს სხვას ვერაფერს გავაკეთებთ. ხშირად ამბობენ, რომ სამეგრელოს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში. ეს ასეც არის, მაგრამ არა იმ თვალსაზრისით, რომ სამეგრელო დაირაზმება და შევა აფხაზეთში. არა, ეს ზღაპარია. საქმის რეალური არსი სხვა რამეა: **სამეგრელო სასიცოცხლოდ არის დაინტერესებული აფხაზეთთან ეკონომიკური ურთიერთობით და აფხაზეთის გავლით რუსეთში გასვლით. აფხაზეთის დაკარგვით და სატრანსპორტო გზების გადაკეტვით სამეგრელო გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ჩიხში აღმოჩნდა. სამეგრელოს მომავალი არ გააჩნია, ის დაიღუპება, თუ არ გაიხსნა მაგისტრალები და სავაჭრო გზა ჩრდილოეთისკენ. ამიტომაც, სამეგრელოს მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესისა და, ამასთანავე, მისი სიცოცხლისუნარიანობის გათვალისწინებით, შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, რომ მას შეუძლია აფხაზეთის ეკონომიკური ათვისება. სამეგრელოს სხვა გამოსავალი არა აქვს. ასევე, აფხაზებს, რომელთაც ამ ტერიტორიის დამოუკიდებლად ათვისების უნარი არ შესწევთ, სხვა გამოსავალი არა აქვთ, გარდა იმისა, რომ აფხაზეთში ვიღაცები უნდა შესახლდნენ. და თუ ეს ვიღაცები — თურქები, სომხები და სხვები იქნებიან, ჩვენ ვერასოდეს დავიბრუნებთ აფხაზეთს, რადგან ისინი ყველანაირი ნიშნით ჩვენზე ძლიერები არიან.** ამიტომაც ჩვენ არ გვაქვს უფლება, არ გამოვიყენოთ რუსეთის გავლენა აფხაზეთზე, რათა, ვიმეორებ, მან არ დაუშვას სხვა ერების ჩასახლება აფხაზეთში და არ დავიწყოთ რუსეთთან ამ თვალსაზრისით მოლაპარაკება.

**— მაგრამ სხვა რომელ მოლაპარაკებაზე მიღწეული შეთანხმება შეუსრულებია რუსეთს, რომ ეს შეასრულოს? ან ნუთუ თქვენ გჯერათ, რომ რუსეთი, რომელიც საუკუნეების მანძილზე იბრძოდა ამ შედეგისთვის, ახლა შეიცვლის ზრახვებს და აფხაზეთს დაგვიბრუნებს?**

— რუსეთი არაფერსაც არ დაგვიბრუნებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ თუ მოვლენები ასე განვითარდა, რუსეთიც ვერ იქნება აფხაზეთის პატრონი.

**— თუ ასეა, თქვენ როგორ აფხაზეთში, რუსეთს გაცნობიერებული აქვს ეს ყველაფერი?**

— რუსეთში მოდის ხელმძღვანელების ახალი თაობა, რომელიც უფრო მეტად არის თავისუფალი ამერიკის და ნატოს გავლენისაგან. ცნობილია, რომ აფხაზეთის ომის პერიოდში და შემდეგაც რუსეთის ხელისუფლებაში, ძირითადად, იყვნენ ნატოსა და ამერიკის, დასავლეთის ინტერესების გამომხატველი პირები. თუნდაც კოზირევის მაგალითი ყველაფერს ნათელს ჰფენს. დღეს სიტუაცია იცვლე- ▶




**დააკვირდით, რა ხდება ბოლოდროინდელ საქართველოში: დაიღუპა ათიათასობით ქართველი, დაიკარგა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, გაიძარცვა და განადგურდა ქვეყნის ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალი, ცხოვრების აუტანელი პირობების გამო, ემიგრირებულია მილიონზე მეტი მოქალაქე, შიმშილი და სიღატაკე ჩვეულებრივ მოვლენად ქცეულა, მაგრამ ამის გამო ხელისუფლებაში მყოფთაგან პასუხი არავის უგია**

**რაც შეეხება აფხაზეთის ომის დაწყებას და რუსეთის როლს ამაში, ომის დაწყების წინა დღეს, 13 აგვისტოს ბიჭვინთაში ვიყავი ჩასული ჩემი ერთი უნივერსიტეტელი (დავამთავრე მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტი) მეგობრის სანახავად. ის იმ დროს ელცინის ერთ-ერთ თანაშემწედ მუშაობდა. საუბრისას მან მითხრა და, სხვათა შორის, ამას საჯაროდ პირველად ვამბობ: თქვენ ძალით არ უნდა შეხვიდეთ აფხაზეთში, თუ არადა, იძულებულნი ვიქნებით, ჩავერიოთ, რადგან თუ არ ჩავერიეთ, გამოდის, რომ ასე მთელ კავკასიას დავკარგავთ. ასე რომ, რუსეთის ხელისუფლებისთვისაც მოულოდნელი იყო, რომ აფხაზეთის ომის პროვოცირება საქართველოს მხრიდან მოხდებოდა**



# თუ რუსეთს არ ექნება სტრატეგიული ინტერესები კავკასიაში, შესაბამისად, საქართველოში, რაზეც ჩვენ შეგვიძლია გონივრულად ვითამაშოთ, თუ, რა თქმა უნდა, გვეყო გონიერება, ცუდად წაგვივა საქმე. უფრო კონკრეტულად, თუ ჩვენს რეგიონში მხოლოდ ერთ მხარეს — რუსეთს ან დასავლეთს ექნება სტრატეგიული ინტერესები, მაშინ საქართველო დაიღუპება

◀ბა, მაგრამ ამასთანავე, დღეს რუსეთში პოლიტიკური ისტებლიშმენტის უმეტესობა მიიჩნევს, რომ რუსეთმა უნდა დატოვოს კავკასია, რომ რუსეთს არ უნდა ჰქონდეს აქ სტრატეგიული ინტერესი. რუსეთს არ სჭირდება კავკასია. ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს ასეც არის, კავკასია რუსეთისთვის ზედმეტი ტვირთია. მაგრამ მინდა გითხრათ, რას ნიშნავს ეს ჩვენთვის: **თუ რუსეთს არ ექნება სტრატეგიული ინტერესები კავკასიაში, შესაბამისად, საქართველოში, რაზეც ჩვენ შეგვიძლია გონივრულად ვითამაშოთ, თუ, რა თქმა უნდა, გვეყო გონიერება, ცუდად წაგვივა საქმე. უფრო კონკრეტულად, თუ ჩვენს რეგიონში მხოლოდ ერთ მხარეს — რუსეთს ან დასავლეთს ექნება სტრატეგიული ინტერესები, მაშინ საქართველო დაიღუპება.**

საქართველოს სიცოცხლისუნარიანობა განპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ აქ ორი დიდი ქვეყნის ინტერესები იკვეთება. მხოლოდ მათ ბალანსზე შეგვიძლია შევინარჩუნოთ სახელმწიფოებრიობა და, საერთოდ, ერი. როგორც კი რუსეთი ან დასავლეთი, ერთი მათგანი უარს იტყვის აქ თავის სტრატეგიულ ინტერესზე, მეორე გადაგვყლაპავს, მოგვსპობს, გაგვანადგურებს.

**— უამისოდაც, რუსეთის პოლიტიკა აშკარა განადგურებით გვემუქრება. საუბრის დასაწყისში თქვენ გენერალ სიტინის ხსენებამ გაგალიზიანათ. რას იტყოდით ალექსანდრ დუგინზე, "გეოპოლიტიკის საფუძვლების" ცნობილ ავტორზე, რომელიც მთელ მსოფლიოს სახმელეთო და საზღვაო ძალაუფლების ქვეყნებად ჰყოფს. მისი კვალიფიკაციით, სახმელეთო ქვეყნები ტრადიციების, წესჩვეულებების ერთგულებით გამოირჩევიან საზღვაო ქვეყნებისგან და იგი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირების ძირითად საფუძველსაც სწორედ ამაში ხედავს. ალექსანდრე დუგინი, ამ მოძღვრების თანახმად, საქართველოს „თავისი ისტორიულ-კულტურული, რელიგიური და ეთნიკური იდენტურობით" რუსეთთან ერთად სახმელეთო (ევრაზიულ) სახელმწიფოთა რიცხვს მიაკუთვნებს და იმავე წიგნში ამის შემდეგ მაინც არაფერი აფერხებს, ჩამოაყალიბოს „კავკასიის ახლებურად მოწყობის გეგმა", საქართველოს „რუსეთთან კონფედერაციული გაერთიანების" აუცილებლობა. უფრო მეტიც, იგი ამბობს, რომ საბოლოოდ საქართველო უნდა დაიყოს ორ ნაწილად: სოხუმი და ბათუმი შეუერთდეს კრასნოდარის მხარეს, ცხინვალი და თბილისი სტავროპოლის მხარეს.**

— მაპატიეთ, მაგრამ დუგინი იტყვის იმას, რაც მას მიაჩნია საჭიროდ. არიან კიდევ სხვებიც, მაგრამ ისინი თავიანთი ქვეყნის ინტერესებით ხელმძღვანელობენ და ასევე უნდა მოვიქცეთ ჩვენც. უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესებით და ამისთვის გამოვიყენოთ მათი სტრატეგიული ინტერესები. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შევიმუშავოთ ჩვენი ეროვნული კონცეფცია და დავუპირისპიროთ იგი დუგინის თუ სხვების კონცეფციებს.

**— ბატონო ალექსანდრე, თქვენ როგორ ფიქრობთ, საქართველოს ხელისუფლებას აქვს თუ არა ამგვარი ეროვნული კონცეფცია, ქაღალდზე ჩამოყალიბებული თუ არა, მოაზრებული მაინც?**

— თქვენმა გაზეთმა უკვე გამოაქვეყნა საქართველოს ეროვნული კონცეფციის ჩემეული პროექტი: „საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა". მანამდე წლების მანძილზე მოვუწოდებდი საქართველოს ხელისუფლებას, პრეზიდენტს, სხვებს და სხვებს, ერთად დავსხდეთ და შევიმუშაოთ ჩვენი ქვეყნის განვითარების სტრატეგია-მეთქი (პუტინმა ჯერ კიდევ გაპრეზიდენტებამდე განაცხადა, ჩვენი უპირველესი ამოცანა ქვეყნის განვითარების სტრატეგიის შემუშავებააო), მაგრამ ამაოდ. საქართველოს პრეზიდენტს, ხელისუფლებას არ სურს ამგვარი კონცეფცია არსებობდეს, მაშინ ყველა მოქალაქეს ეცოდინება ჩვენი ეროვნული ინტერესი, მაშინ მოსახლეობის მოტყუებაც ვერ მოხერხდება, მაშინ თეზისიც: შევარდნაძეს რაღაც აქვს ჩაფიქრებული, აზრს დაკარგავს.

მას გასავალი ახლა აქვს, როცა ვილაცის კარნახით მოქმედებ და ქვეყნის განვითარების გეგმა სხვის ხელშია. მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების იმ გეგმებში კი, რომელთა რეალიზაციაშიც ჩართულია საქართველო, ქართველი ერის ადგილი, მომავალი არ ჩანს. ეს გასაგებიცაა, რადგანაც ამ მსოფლიო ძალთათვის სულ ერთია, თუ ვინ იცხოვრებს საქართველოს ტერიტორიაზე, ვინ მოემსახურება ნავთობსადენს. მეტიც, მათთვის უფრო მომგებიანიცაა, რომ ქვეყანაში ძირძველი მოსახლეობა, რაც შეიძლება, ნაკლები იყოს, ვინაიდან მკვიდრ მოსახლეობას ყოველთვის მეტი პრეტენზია აქვს, ისინი მომსახურე პერსონალის როლს საკუთარ სამშობლოში ძნელად შეურიგდებიან.



**საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება უზომოდ ამაყობს იმით, რომ საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციებში მიიღეს და მას განიხილავენ, როგორც სატრანსპორტო ქვეყანას, რომ ნატოში მიღებას ჰპირდებიან, რომ ეკონომიკის სტრატეგიული დარგები უცხოელებმა შეისყიდეს და არად დაგიდევენ, რომ მილიონზე მეტმა ქართველმა სამშობლო დატოვა, დაკარგულია ერის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი ტერიტორია, თანდათან ისპობა ქართული კულტურა, ეროვნული სულიერება და ზნეობა. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება საქართველოს აღიქვამს გეოგრაფიულ სივრცედ, რომლის მდებარეობა ხელსაყრელია მსოფლიო ძალების მიერ საკუთარი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური კონსტრუქციების რეალიზაციისთვის. მე კი საქართველოს განვიხილავ, როგორც ტერიტორიას, სადაც ქართველი ერი უნდა ცხოვრობდეს და ვითარდებოდეს. დღეს თითქოს ქართულ სახელმწიფოზე ლაპარაკობენ, მაგრამ როგორ იქნება ქართული სახელმწიფო, თუ იქ ქართველი ერი არ განვითარდა, ასე რომ, დღეს ერის შენარჩუნებაზეა ლაპარაკი და არა ქართულ სახელმწიფოებრიობაზე.**

აფხაზეთი იმისთვის კი არ დაიკარგა, რომ მერე შენი გეგმები განახორციელო, არამედ იმისთვის, რომ ამანაც განაპირობოს შენი ქვეყნის სიდუხჭირე, დაშლა და დაღუპვა.

გაიგონეთ ერთი რამ: **მსოფლიოს ჩვენს ტერიტორიაზე არ სჭირდება მკვიდრი ერის არსებობა და განვითარება. და თუ იქნება აქ ეს მოსახლეობა, უნდა იყოს იგი, მომსახურე და დამორჩილებული.** სტრატეგიული ობიექტები უნდა იყოს სხვის ხელში, როგორც დღეს არის: მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტექნიკა, მეცნიერება და განათლება მომსახურე ერს არ სჭირდება. ეს არის საქართველოს მომავალი. ეს ბევრმა იცის, მაგრამ მასზე ხმამაღლა ჩემს გარდა არავინ ლაპარაკობს.



**— ბატონო ალექსანდრე, თქვენზე ამბობენ ხოლმე, რომ რუსეთის სამსახურში ხართ. ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენი ამგვარი პოზიცია, როცა ცდილობთ რუსეთის ავი ზრახვები საქართველოს მიმართ თითქმის გამორიცხოთ და მხოლოდ დასავლეთს დააბრალოთ ყველა ის უბედურება, რაც საქართველოს ბოლო წლებში სჭირს, თქვენს ოპონენტებში კიდევ უფრო გაამყარებს ამ ეჭვს.**

— მე არაფერსაც არ გამოვრიცხავ, უბრალოდ, როგორც პოლიტოლოგი, ობიექტურად ვამბობ, რითია დაინტერესებული დასავლეთი და რითი რუსეთი. ამ სინამდვილიდან გამოვდივარ. ობიექტურად კი, არც ერთი მხარის, არც დასავლეთის და არც რუსეთის ინტერესს არ წარმოადგენს ქართველი ერის განვითარება. მისი ბედი, ჩვენს გარდა, სხვას არავის ანაღვლებს. არც მისი აზრი აინტერესებს ვინმეს. საქართველო არის გეოპოლიტიკის ობიექტი და არა სუბიექტი. პოლიტიკის სუბიექტები არიან დიდი ქვეყნები, საერთაშორისო ძალები, ტრანსნაციონალური ძალები, საქართველო კი, სხვა პატარა ქვეყნებთან ერთად, პაიკია, რომელსაც საითაც უნდათ, იქით გადაადგილებენ. სწორედ ამ რთულ ვითარებაშია საჭირო, ქვეყანას ჰყავდეს ეროვნულად და პოლიტიკურად მოაზროვნე ხელისუფალი, რომელიც ყველა არსებულ შესაძლებლობას გამოიყენებს და ერს შეინარჩუნებს, გადაარჩენს და განავითარებს. ამისთვის კი შევეცდები გამოვიყენო რუსეთის ინტერესებიც, დასავლეთის ინტერესებიც და, სიტყვაზე, კონგოს ინტერესებიც. ჩვენ მხოლოდ ასე შეგვიძლია გადავრჩეთ. ჩვენი ბრძენი მეფეები სწორედ ამგვარ პოლიტიკას ატარებდნენ.

ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ხელისუფლება, პოლიტიკური პარტიები და, სამწუხაროდ, ქართული საზოგადოების ნაწილიც აფხაზეთის დაკარგვას შეეგუა. ყველა ამათ კი მინდა ვუთხრა, რომ საქართველოსთვის აფხაზეთის დაკარგვა გეოპოლიტიკური, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური თვალსაზრისით, სრულ კატასტროფას ნიშნავს. ამასთანავე, აფხაზეთის დაკარგვა, რა მილსადენიც არ უნდა გაიყვანონ, საქართველოს შემდგომ დაშლას მოასწავებს. არც ნავთობსადენსა და გაზსადენს, არც დიდ აბრეშუმის გზას, არც ნებისმიერ სხვა ფანტაზიას, არ ექნება ისეთი მნიშვნელობა ქართველი ერისა და სახელმწიფოს განვითარებისთვის, როგორც აფხაზეთს აქვს.

**პ.ს. ყოველი ზაფხულის მოახლოვება აფხაზეთის დაკარგვასთანაა ასოცირებული, ამიტომ სრულად და უცვლელად გთავაზობთ პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიას ჯერ კიდევ ოცი წლის წინანდელ ინტერვიუს. სამწუხაროდ, ამ ოცი წლის განმავლობაში არაფერი არ შეცვლილა.**

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება უზომოდ ამაყობს იმით, რომ საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციებში მიიღეს და მას განიხილავენ, როგორც სატრანსპორტო ქვეყანას, რომ ნატოში მიღებას ჰპირდებიან, რომ ეკონომიკის სტრატეგიული დარგები უცხოელებმა შეისყიდეს და არად დაგიდევენ, რომ მილიონზე მეტმა ქართველმა სამშობლო დატოვა, დაკარგულია ერის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი ტერიტორია, თანდათან ისპობა ქართული კულტურა, ეროვნული სულიერება და ზნეობა. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება საქართველოს აღიქვამს გეოგრაფიულ სივრცედ, რომლის მდებარეობა ხელსაყრელია მსოფლიო ძალების მიერ საკუთარი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური კონსტრუქციების რეალიზაციისთვის. მე კი საქართველოს განვიხილავ, როგორც ტერიტორიას, სადაც ქართველი ერი უნდა ცხოვრობდეს და ვითარდებოდეს. დღეს თითქოს ქართულ სახელმწიფოზე ლაპარაკობენ, მაგრამ როგორ იქნება ქართული სახელმწიფო, თუ იქ ქართველი ერი არ განვითარდა, ასე რომ, დღეს ერის შენარჩუნებაზეა ლაპარაკი და არა ქართულ სახელმწიფოებრიობაზე

# ბჭარათ დო ბრაგადუათ

კოტე ნაჭყებია
(11. 01. 1955 წ.)

### სო რე

სო რე ჩქიმი ობინეხე,
ჩქიმ ჭოდი დო ჩქიმ პანეში,
ჭვიტლური დო ჩეჭიფეში,
კაჭიჭი დო ოჯალეში.
ჩქიმჲ შონურ დო ხოჯიშჲ თოლი,
კოლოში დო ეგუძგური,
ვაი, ბრელი მუ იბჩია
კოს მუთუნშა ვეგუძ გური.
მემაჯინეს თე ონჭეშე
გურშა ბრელჲ მაფჷ ნახვატეფი,
ბორჯიშჲ გასჷ ქიგედინე
ჩქიმჲ ნოა დო მახვატელი.
ჩქიმჲ ლაგვანი — ჸვაფიჩალი,
სუმარეფით ჸუმენული,
მუ ჯვეშეფიშჲ მუკნაულა
ჸუჩა ჭიფას მინმეულუ.
ჸასჷ ზესქვი ვეგლებირს,
მაფშალიას ქუფურინჷ,
ზღვადალიშე იაზონს
მანებელო ქუმურინჷ...
მედეასითჲ მუს მოკითხე,
შხვაში კაბას ითირანს,
მუნაფაშე ჩეთი ვარი
მალას ჭითათ მითირანს.
სო გილაფრთა უშარეთჷ,
სონჲ გერგეზი სო გიფცხირი,
საწმოხონოს ონჭუნჲ ნერი
ღორონთჲ, სინთე ქუმოძირი.
მუკი-მუკი იბჯინექ დო
გუმაღერღენწ ოშფა დემი,
ღორონთჲ, რთხულე,
ქუმანჯღვერე,
„ჩელაშორო" ვეშმოთენი.
სო რე ჩქიმი ობინეხე,
ჩქიმჲ ლაგვანი, ჸვაფიჩალი,
აიეტიშჲ ჭალეწკუმა
კინე ხინჯჲ მაფჷ გაბიჯალი.

### ხვამა

გომტიბინე, ღორონთჲ
სქანჲ სინთელე-ოროთ,
მარდიქ ვემჲოკორდას
ჭკვერსუთჷ დო ბოროს.
ჰამას ქუდომრინე,
გემჩილითე კოლოს,
სქანჲ კირიბო გინმოშქვჲ,
მოდიარე დოლოს.
შური ქუდომკირი
სქანჲ ორანიშჲ ხოლოს.
ჩხანა გემირზინე
ჸვერე სერიშჲ ბოლოს!
ათაშჲ იბჭყა ჩქიმჲ საქვარს,
ჩქიმი ზიტყვას, რაგადის,
შურუბუმო გეპყურშუქ
გოხვამილი მარგალ თის.
ჩქიმჲ განთხეფით მებხარ
მენწყერი დო მანგარ თირს,
ვებტყვაცუქუ, ვებგურგინუქ,
ვენწუმიჭყა რაბადის,
სადღამუშოთ თაში იბქუ
ვემშაძ ყაზაყალა რტინს.
მარგალ ვორექ, ჩქიჩქ პიჯამი,
ათომირჩ კოლხიში ნერჩი,
ჭყონშა კინე მიკომკირჷ
ორქოთ გოსილონგირჲ ერჯი.
იჭარუნსუ პიჯიში ჯვარს
გოსანთელერი კითეფი,
ღეჟელანა მარგალონაში
მითეფი,
ტყაშჲ მაფაში არიკი მა
თაშჲ მითებუ:
„არიკჲ, არიკჲ, კუტარია,
ჭკიდი ჭკომი ტუტამია,
ღვინი შვი შურამია,
ჯიკის ქურსი ქოტვარია".
მობალუნა, მეტ ვარია.

### ოთხუალი

კინჲ სერეფიშჲ ელი-ვალი,
კინე მა დო ჩქიმჲ სისმარი,
მისუთ მუთუნჲ ვაუკათუნი
დუდმახვენჯი, თამადა რე.
გელეკინი, — უწუენი,
ნიტე სქანი დღა დო სერს,
ქირსე ჯვარს დოიწერს დო
ჯოჯოხეთშა გოიტენს.
მუ ბქიმინა, მის უწუა,
ჩქიმჲ ჭუა დო გურიშჲ ნარღი,
ჰე, სინთელე, რინაშჲ ნება,
ღურაშჲ დღაშა დუმაბაღი.

### ამსერიშჷ ოხვამერი

ღორონთჲ არძას გუმორძგვენს,
მითჲ რენი დო მითჲ ვარენი,
მითჲ საჩილოს მიორე დო
მითჲ ეკოხონს ათარენი.
მისჷთჷ კულა მადგინუ დო
ღვინს ღუზუნსუ ქომოლურო,
მინჲ ონწესჷ უქანცუანს,
სერჲ დო დღაშით ვაულჷ რული.
მისუთჲ ოსვენ ხი დო ორე,
უკოჩობათ დო კოჩანა,
გეხარითჷ ჯიმალეფი,
ღორონთჲ მარდის გინორჩანა.

### გურიშჲ საჩიარი
### (პოემა)

### დაჭყაფუ დუდი

ათე ლერსიში ჭარუაშა
ბრელს მეუჯღონს საქვარი,
მოზო-მოზოთ კირილჲ მაფუ
გილნაზა დო გილნანქვალი.
ბრელი მაფუ მოსაშინე,
აკანწყუალჲ თიშე მეტი,
ჩქიმჲ პუხუშა გილნართუა
ბორჯიშჲ პელეტჲ დო მერეთი.
ქირქეში კონკშე გინვოჯინექ
ნანწყვისჷ დო ნაჩართასუ,
ალბეთ, გური დუმაწკირუ
მოკონი თეში ვაგშამრთასი.
კილ-კილიშა ვაბთქუენი
ქაწიბკვათა ღურუშჲ დღასუ,
ასეთ ვორწყექ, ბრელჲ ვემეძუ
საფულეშა გაგშამღასუნი.
მიშა მეულუ, გონწერილი,
ნარღიშჲ გოფშა ჩქიმჲ წერილი,
ჯიმუცალო ქუდომციუ
მუთ იბხვამჲ დო იბწერინი.
მუნანჭყეფუ ლაგვნცალო
დუმეჭვახუ შურიშჲ ღვინქი,
ლანჯიში დიშქაში მენდული
კოსუ
ვამაპალუ პიტა ხინკი.
ეშა-გიმა გილებღვენკუქ,
მუჭოთ ქულა მენოტყერე,
ფუჩხაცალო ლუგე მაფუ,
მუდგა ბლაგვე, მუდგა
ბტკვერე.
ნამდგჲა ჯასუ ათვაქუქინი,
ქიგმობერტ ჟიშე ლეტა,
თხომუში ღოლს მითუვოხექ,
ერთელი ხუსუ სოლე ვერტა.
ჭარკინია აშენჭვილუ
ჩქიმჲ ოჩხვარალჲ ოჩეშჲ ხვესჷ,
დამორჩილს მი ნარღენსჷ,
ზოთონი ხოლო მიდამღესჷ.
წურწუფა რე მოცენცუნი,
გენიას მერეხანსჷ,
შქურნაფილი ლატი ხოლო
ჸონიერ ტარს ველეგანსჷ.
ბარბანჩია რზ ღურაში,
ულანკეთ ცენს ჭვიმაშჲ ჭვეთი,
სოიშა იბდა, მის ვეხვეწა,
ქვერსემ უჩათ გეშაბჭვეთუ.
ჭინკე გილეკარკაცანს
მაზაკვალიში ნაზაკვასუ,
ძვაბრა ტურა მიკინქილუ
ბებჩქიმიში ნაზა ჸვალსუ.
ირფელი ართო აკოწიმე,
აკოწყორე არხი-მარხი,
ირფელქ წოხლე ქაწომციუ,
შულადა რე ანწი ნარღი.
მუკი-მუკი იბჯინექჷ,
ეგბა რსხინშა გიშვოღენი,
ეგბა ხვამათ ვორტინუე
ხუს ეშმაკი გილაბხენი.
ეგბა ასე გუშმაღინას
ორქოშჲ ჯერღვიქ ნათუხაშე,
ბედიშჲ თუმა გამპკიპოთე
ბჟაკეთ გორჩაფილი ღვაშე.
ეგბა გაგშატაროზასუ,
უგამაგე დოფართხას,
ონჯუა რე, ზღვა ილემს,
ბჟადალუში შურჲ ინთხანს.
ფიფქრე, ათე ნაპოტიკას
ჩქიმჲ მაკითხე ვაგამდღანსჷ,
მარა უკუმელა სერს
ჭყიში ბგორჷ ჸევე თხასუ.

### მაჟირა დუდი

თეში ხოლო ვარე სქვამი,
გიშურუე არძა სენსუ,
უდუდკოჩე დიარასჷ
აკონწყილით აკმოცენსუ.
ბრელი იჯინე ჭკვერიშორო,
ბორო ხოლო იჭკვერანს,
ნალონტყეშარ ღეჯიშორო
აშეგვამუ მუში გვამს.
მუს ვორწყექჷნჲ, თის ბრაგადა,
ვებჩიებუქ მოძინელსჷ,
ქვითორი ჩხომქჷთჲ ქიგირციუ
ბაბშობაში ონძილესჷ.
ბრელი ლანდი ქიგლადინუ
მუნაფილი, ორო დღაქჷ,
კილ-კილიშე აკიფაჩჷ
სონი აკნაკორობაქჷ.
სოიშა იბღა ათე ოჩე,
ულანკე დო უკიბირე,
სუმჲ ხონარშა მაბირეში
მუმარჩქილარი, ნიტე, მი რე.
მაჸუჯურიში უმუშოთჷ
მიქ ზიმასჷ სქანი მოკო,
ვაწყარიდა, ჭყონიშჲ ნერგი
გინმართუნა ხუგეგი როკო.
ი ჯა კჷსჷ ვამკილანსჷ,
ქიგედინუ ხვე ჭვალას,
ომბოლჲ ძიგირჲ გეშაფშანს
საოზეოთჷ ნაჭვარას.
გეგნობორუნს მუნაფემს,
თაქ ვადაბუნს ართჲ ჭვეთის,
უმოსისჷ დომინწყუნა
ნატკვარტკვალა-ნაჭვეფის.
გერეში გერე ირო იჸი,
არძა ბორჯის მოძჷ ჯღალი,
მთავარი რე, ოგვაჯესჷ
ქიგეძუდას ორქოშჲ ჯალი.
დოფას შურსჷ ქიმთვოფორა,
ოჭმარეშო მაჸი ალი,
ოლონც მუმულ ქოპუნდასჷ
მუშჲ ბორჯიში მაჸიალი.
მელას აკა ჭუჭუა ვარა
ვაჩენჲ, ჟინიშჲ წყინაფა რე,
ოლონც მუმულჲ ვამომჩალას,
ირიშჲ მაკურცხინაფალი.
აიშახ მუმულჲ ქოპუნდესკონი,
მაჩართალი ხარილიში,
ნამთინს ვაგმაბორენდესჷ
ყვანტალუა ყვარილიში.
ხოლო ძამო გინვოსქიდით
უგამაგაში გიმუასჷ,
კოლოს მოქინჩაფუანდეს,
მუჭოთ ჰამოს-გემუანსჷ.
ალბეთ, გემო ვამჩქუდესჷ,
კობუ ჸომურჷ დო თოფურიში,
სიმანგარე ვაფშუდესჷ
ჯვეშჲ მარგალიშჷ ნოქურიში.
გერგეზი ყილოში ნალჷმასჷ
ვაუჩინით წკონდა ლანკი,
ქაწიპუნეთ, ქიმჯღვერეთჷ
უწყარმაკე ჭია-ღვანკი.
დინაფილჲ რე, დუდჲ ჭყიშიშჲ,
კვანთირჲ თოლი მარგალუნი,
ეულირით ქიგედინუ,
ვებურჯანსჷ მარგალური.
ნაგორგოთა უჩა ზღვას
ქიგუწკურეს მანგარჲ რული,
თაშჲ ორდესჷ, სოიშახ არძას
მაკილოთექ ვანგარჷნი.
უჩხვიჩხვეთჷ ეშალაფა
ოხიოლჷ ნამჷ ლატის?
ალბეთ წიმე უჯინელს,
გერჩქვანელს ღალატისჷ.
ნამუს ვასვენ ხი დო ორე,
მაძინალჲ დო მარკებელი,
უსარგებლეშჲ სარგებელი
დღასჷ ვეჸი მარგებელი.
ნამუთჲ ზოჯჷნს დიდჲ ცოტნეში
საქმეში გუმაცოფურალი,
ნამუს ჭყონდიდელიშჲ ბჟაკე
ოროთ აფუ გაფორალი.
მითი თამარჲ მაფაშჲ ნოთეშჲ
გეშქირატას ოცადჷნი,
მუშჲ თურობას ლაფით წიკუნს
შხვაში გუნამორსათჷნი.
წიგნის გილატატურანს,
ძლაბუნს კაბეტჲ-კაბეტის,
დიდაშჲ ოფარესჷ ვარწყე,
მიდგა-მიდგაშჲ ნაბერტას.
მაზაკვალიშჲ ძუძუ მილუძ,
წურწუნს, ჩხანჭიერო წჷნსუ,
ვაუჩქუნო, მუკართუნი,
მეტახჷნსჷ ლაბერწისუ.
მარა გერე დო იცქვანსჷ,
პის შხვაშჲ შურით ისქვამანსჷ,
მა ქომიჩქჷ, ალბეთ თქვათი,
მუ ჭარა გეძ თიშჲ ხვამასჷ.
გიმე გითმჲოწურუანსჷ
ქორთუ კოჩიში ნახანდისჷ,
თე ონჯღორეთ ჭითა ფერ გეძ
დავით მანთხაშ? ქალარდისჷ.
ეგბჲ სვენაქ ვამობალ დო
ოძიგირეს ქაშეფხართი?..
რუსთაველიშჲ ორქოშჲ უკულჲ
თენერჲ წვირე სო იბღათი?
ნამუ ცირას ვოჸუნუათ
ობზითვო დო ოხვამერო?
მარა თითჲ ჩქიმჲ ზოჯჷნსჷნჲ?
მუჭო უჯინა შხვანერო!
ჩქი ხო ვეგებძჷნა ბრალი,
ხონარი ვეკომიღუნანი,
თაში მუჭო გოფსქიდითჷ,
ვამოჭუდანჲ ოღურალი?!
ხომ ვერზამე გოჭყორაფა,
ვაფთუხუდანი მაზაკვალი,
ძეგვე ჸვას ხო ვეგნოფრჩუნა
ხოჯკამბეშიშჲ დუდიშჲ კანი?!
შური მუჭო გოპკაშითჷ,
ვაგშვონწყითჲ ჩე უჩაშე,
გურიშჲ კჷზის გაქშამღანა
წყარკაკია მოუნჩაშე.
კვანთირჲ შელორსა მოკონა
დიფთხინუათ ნაჟამანი,
სოიშახ შურსჷ ეშამღანანჲ
ნა-თენგიზ-ა—ნა-ჯაბა-ნი.
მარა მუსუ გუშანწყუე
კერზობუათჷ გუნათიშა,
სონ ხანჲ ორე ვემმართესჷნჲ
რუსთველიშე რუსთველიშა.

### მასუმა დუდი

მუაჩქიმიშჲ ჯვეში ჸუდე
გიბანდალჷ შუმილჲცალო,
მითინც ბრალი ვემუჯღონც,
მა მობჩალი ძათანძალო.
მა გობლახი ჩქიმი მორდუ,
შხვა დო შხვადო გაგაფითჷ,
დიდაში უფი გამკიფრჩხი დო
ჸონერიში ქიგიფქიტი.
ვეგუძაგვე ჩქიმჲ ჸვანასჷ,
ტყას ვამურქი კვანთირჲ ბერგი,
წკონდაქ ლანდღვე დომიწყორჷ,
დომიხომუ ჭყონიშჲ ნერგი.
ჩქიმი ორქო ვაბძირი დო
ქუმვაბირძლი შხვაში წვირეს,
ბორო პაპაშჲ ნანათა რე
უძირაფუშჲ ნაძირეფი.
ჩქიმჲ ხობწყარიშჲ გჷმნარდისჷ
სხვა ჭოფუნდუ ჩხომსჷ ჭალეს,
მა შხვაშისჷ ქუმვაბირძლინჲ —
დობგიბეს დო დობჭუჭალეს.
უთურემქჷ ქიგიარჩქვანეს
ჯგირჲ დო სქვამიშჲ მეჩამასჷ,
ბოროშჲ ნათემ ლაკვატათჲ
დოცჷმილი ნტერჲ ვეჩალედჷ.
ასე ქომიჩქ მუ მოჭჷნი,
თე მუკორთას მუ ჯოხონი,
ნწარე ოხონალი მაფუ
ეკოხონიშჲ დჷკოხონი.
მუს ქიმინუ, ვაგოხვარჷ,
გილართე დო დუდჲ იჭყენი,
მეჩირთიდა, საქვარი რე
ბჟადალს ვარა ქიდიჭყენი.
სქანი საბოლა ოფულუსუ
ქიგიაშქვენი ქირსეში ჯვარი,
დო მითინს ვატუენი
ნახვიცეფჲ დო ნანჯარუ.

### მანთხა დუდი

ქუმორთიო ოხვამეშე,
ქიდიზანზუ წკირილჲ ზორქჷ,
წისქვილქ სქიბუ გეჲობირუ,
ცომი გეზუ დიდჲ ნისორქჷ.
ბებშობაში ანგურაქჷ
გეშაწკანტ ხაჭაპური
დო ნახონეფჲ ლაგვანიშე
ადესაშჲ ღვინქ გეშაფურუ.
ტაბაკისჷ ქიგიადვუ
ყორყელიშა რძლაფაშჲ ფერქჷ,
ორთვალქ ქუდის ეუკუნუ,
გომორძგუა ზოჯ შიფერქ.
მეძობელიშჲ შვირგალჲ ოჩიქ
ხათე ნარქი გაქთიკვათჷ,
უონჯღორეთ ქუმუოლაგვე,
ჩილამურით თოლქ დიქვათჷ.
მითინს ვეკუჯიკუაფუ,
ვაურაგადუ საყვედური,
კინე გურშა ქიფხუტოლე,
ჩქიმი ზისხირი, ჩქიმი თური.
ჯვეშეფიში საფულემსჷ
ქიგვოზღოდი ჩილამური,
მეტებული ოკარიეს
გელვოჸიე ჩხე მუმული.
ანწჲ სო ულუ, თაქ ბღურუქუ,
მობალ ოდაბადეშჲ განჩი,
გური, ქორთხი, ქიგუნერე,
ბრელჲ ლაბანი ალგოპანჯი.
ანწი ვარა ქიმიფერე,
ქუპოპორე სქანჲ ზჷსხჷრსჷ,
თოლიშჲ მერქათ ქიგნუქექე
ცხვინს, ომპასჷ დო ოსხირსჷ.
შური ხვამაცალო მიღი,
სამგარიო დო სათელო,
ამარჲ ვორექ, ჩქიმჲ ჯუმითი,
ქუმომფერე, სქანჲ სანთელო!

### მახუთა დუდი

ბრელჲ დოს ართი ვაგაგორე
ჯუმითიში სოფელცალი,
თიშჲ მეჯინა-გოჯინასჷ
იკვირუანდ სონჲ მენცარი.
გვალა — ეკურ კუციაშე
გინიჯინე მელე-მოლე,
თიშჲ დოტკვაჩილჲ
ერთ-მორთიშა
ნახაფული ვენგკათოლე.
ბირცხა ხოლო ვენშგალინე
თიში ხანტილი თოლონჭეშა,
მოკო, მარა ვემაჭარე,
მათ ქომსხუნუ ბრელი ჭეშა.
მარა მოშქურუ რაგადიშა
ზიტყვაქ შხვადო მერტასჷნი
დო უჸუჯე მარჩქილეშა
ცხიროკილო მერთასჷნი.
ათეშენი დუსჷ იბკინე,
ვავორექჷ ხაზირითჷ,
უმოსობა გოკონა და
მოზოჯით, ქოძირითჷ.
უკულჲ მათი ქჷგმაგითჷ
მუ ბორჯის გალორითჷ,
გურსუ მუჭო გიჯგირენა
ჩქიმჲ ჯუმითი საღორონთო.

### მამშვა დუდი

ხობწყარი კინე მიკილოთჷ
ჯღარჲ ცაშორო გოსარკილი,
სონი ამბეს კილმელანსჷ
შურით წკონდა, გურით რგილი.
ალბეთ, ღორონთჲ იჩიებუ
მოჰამილი თიშჲ ნინათუ,
დუდგინოთილჲ მაჸალეფი
ჭიჭენობას იფშინანთუ.
იბშინანთჷ ჯვეში ჭკვერემს
საწმოხონო ზუკოლითჷ,
ნარაბადას იბშინანთ:
გლახა კოს სო მუ ბღოლითჷ.
მის ოფარე ექუდგადგით
ქვერსემჲ დაშებაშჲ გურშენი,
მენჩურუა ლატკობას
მუსხი ორგჷნჲ ნაფუშეფი.
მუდა შინკა ეპჭოფითჷ
მეზობელიში ნაჭვარასჷ,
მუდა კოჩქჷთ ეკადინჷ
უგამაგათ ჸვაშჭარასჷ.
იფშინანთჷ ჭალე პიცჷ
ანტკეცუა-ღორჯალასჷ,
სანთელცალო ნახვამერი
აუბორჯებულჲ ბორჯალასჷ.
ხობწყარიში ნანათასჷ
ვაგობონჷნც ნაკურთხჲ წყარი,
თაქ დრო ხოლო გოჸინელე,
ირფელიში მახინწალი.
ჯგირიში დო ფურიშჲ შინით
მინჲ ჰამო რე, მინი ცხარე,
ემერჲ, რეყე ფურაფილსჷ
ჩქინ ნოქური ქეკონწკარე.
მინჲ ანკეცის ურქენსჷ დო
მინჲ სარსოლს აშმათანსჷ,
ძვაბრა ოჩოკოჩიშორო
გალალანა ტყაშმაფასჷ.
ასეთ გეფშჲ ნირზჲ ოჩიშა
ჩილამი დო უჩილეში,
ჭალეს ბურთი იგვაგუნი,
ნათოლჷთჷ უჯინექჷ.
ასე ხოლო ეკმონწარჷ
ქუას ბჩანგი ჩანკითინი,
ულირჲ ბორჯიშჲ თი ოსარე
მუთუნითჷ ვანკითირე.
კინე მართუ ულირი შარა
მოზო-მოზოთ, გოშინათუ,
სირჩინუე, ელეკინი,
თი რინქ შურჲ დომინათუ.

### მაშქვითა დუდი

ალბეთ ბალჷ, ნარკვანი რე
განი-განო ზიტყვაში რთაფა,
ხოც ვაჸუნსდა ჯგირჲ
მანჯღვერი
დიხას ვახონუნს აგაფა.
კვალსჷ თეში ვეგიჸონანს,
მუჭოთ ოხვარ თასისჷნი,
მიძირჲ ბორო მეჸვანესჷ
ნტერქ მუჭოთჲ გაძიცუნი.
მუ არგამას გოხორხოშჷნი,
ქუგაგუკო ირკოსჷნი,
ორაგადე ვემებჩათჷ,
სოიშახ ბორჯი დინკორსჷნი.
ქალარდი ხოლო ცოდა ზოჯჷნს,
იშჲ ჩიება კვანწილი რე,
მარა ბორო ჭკუაშენი
სქანი უფი ვაწირიდე.
ათეშენი აწუკუნი,
კუნტას მეუშქვა სადიოს,
ახალჲ მუთუნჲ ვარაგადე
ლუგე ზიტყვასჷ —კანდიორს.
მიჩქ ღურა რე დუდშა, ტანშა
დუღაშჲ გინოგვარგვალაფა,
მარა ვარი, შურსუ ოკო
ლერსით გილამარგალაფა.
თე ნინაში სქვამი ნერით
ჩიება დო მორჩქილაფა,
ვამოონჯღორ, მიკიფქუნე,
თით გონწყილი ღართჲ დო კაბა.
მუ ბქიმინა, თაში მიბრდი,
თით მოწინეს დიდაში ძუძუ,
ხესჷ ფათქა მიკინებ დო
წირილჲ ნინაშჲ ბჟასჷ ბღუზუ.
თაში მოფიქრ, ჩქინი ნინა
არძა ნინაში კუჩხჲ დო ხე რდჷ
შხვა ვარდ
დობურძლინაფილინჲ, —
ჸონიერო განთხის გერდჷ.
ოკეანეშჲ მანჩურალსჷ
მუკ-მუკჲ წყარქჷ ქათასქირჷ,
შუმერიშე ამდღარიშა
ნკირილჲ ბედიქ ქათანქირჷ.
ნაველა დო ნამერეხაქ
ჩქინი შურსუ ქინიკვარდღ,
ალბეთჲ, თენა მობძჷდესჷ,
ალბეთჲ, თენერჲ ჭარა მარდჷ.

### მაბრუო დუდი

ასე ხოლო ქინძაფითჷ
ვეკინანა უკახალე,
პასუხითჷ ვენგაჩინე
მუდგა იჭვე დო იხალე.
შხვაშა, ნჷტე, მუ გემიძჷ,
მუ დაუშე ჩქიმჲ ჯიმასჷ,
ირო ჯგირო გინმაჩირთჷ
ჯვეშეფიშჲ დუნაჩინასჷ.

# ნანაში ნინაშა

შურო ქაშუ ხუნდიქჷ და
ოცად, ქიგმოცხირასჷნი,
ალარინიში მანგიორო
ტუტა ქიგმოცირასჷნი.
მიმაჯინე შხვეფჷ, უკული,
აბაშურსუ ვამარკენა,
ნიტე მიში ჭყელჲ ვორეთჷ,
სონჲ მაზაკვალჲ გილაფხენა.
მარგალეფიშჲ უმუშოთჷ
მოღე მოსა მის აშუე,
ერთჲ-მორთიშჲ სიჰამაში
ონოფულე მის აჩუე.
ართი მიღუდეს საწმოხონო,
გოხოლუა, შურიშჲ ხვამა,
ბრელშა გურშა გიბრაცითჷ
შხვაშო ნალასჷრა ყამა.

### მაჩხორა დუდი

მუ სერჲ მაფუ ნათანეფჲ
დო მუ დღაში გინნათანგა,
ჩქიმი ტანიშა მიკიფშირი
მუდა ჭკვერჲ დო მუდა ხანგა.
სოლე ვარე ნაოცთემუ
ხეშქვილი დო ხეშთაგანი,
მუდანერი შურწულირქჷ
დომიფეთჷ გურიშჲ კანი.
დიო იაზონქ გემაზადჷ,
დომთხინუკონჲ ორქოშჲ ტყები,
ბიზანტია-სპარსეთისჷ
ოიშახ ვაფუქ ნაბანძღეფი.
ქუგურზი დო ნათუაში
ქეშუდირთი ხარუასჷ,
მარა კჷნე ჩქიმჲ მიჭყანდჷ
ჩხომიცალო ხარუასჷ.
შორიშჲ ამბე ვაფთქუენი,
ამარჲ გიწინთ ხოლოშისჷ,
მუჭოთ მუწმოციკესჷნი
ურდუეფიშჲ ხორხოშისჷ.

### მავითა დუდი

მისჷთჲ წკონდა საქვარიში
ვახიოლჷ დო ვაწანსჷნი,
კაზლა ცვალი ვეშაღინე,
მუდგა დინანაწასჷნი.
საქორთუოქ ზიტყვა ქოთქუ,
ზოხო რინა მოკონია,
მარა თოფურსჷ აურისჷ
ლაბანი დო ეკონია.
შორშა ულა მუშოთ გოკო,
შურჲ ქიხუნუ თაქიანქჷ,
ბაბილონო აკოციუ
საორენჯო ნარქიაქჷ.
ზვიადჲ მარგალჲ ორენია,
შხვას მუშენი უწორუა,
არძაში წოხლე ქიდიჭყუა,
საქვარი დო ფუცორუა.
მუ იშქიდუ, მუ ქიმინჷ,
მუშენჲ ვაბკითხესიავა,
ათენერი მუშობუა
ბაკუას ითხინსიავა.
დია, ნოსა ვაგოკოდა
გაქთუცოთი განთხშე კველა,
უკულჲ შხვასჷ ქეკაწამი
გამაღეთ სქანჲ ნაკერკელა.
ორტინესჷ დიდჲ ყაზაყი,
ჩქინი საწმოხონოშჲ ნოთე,
ანწჲ ჩილამურჲ მუს ოხვარუ
იკეკე დო იგორგოთე.
მარა ათეს დეკვირითჷ,
სო მუკოდგეს კოტოს ცუჯი,
აზონჲ ხესჷ ქოცუნა და
მის მუთ ოკო უკულჲ ქუჯი.

### ლჷმა რე დო გორგოთი დო ბორია რე

ლჷმა რე დო გორგოთი დო
ბორია რე,
ვორწყექ პეულს პირი
უტატალანსჷ,
დიხაშჲ შურსუ ეშმაღაფუნსჷ
ოდიარე,
მათჲ აფუნი ქომძირუანს
მალასჷ.
მუნაფეფი მუჭო გილეფაფუნა,
თოლსჷ მუჭო უწკურუნა
ჩხანასჷ,
თანთალერი კჷდჷრი
გელურღვაფუნა
გვალემს, ირო რულიშჲ
მენარჩქვანასჷ.
მა, შურდუგჷმილჲ, მუსჷ
მიშმორსხუ ანთარქჷ,
მა ვორწყექ ვარჲ,
თინეფი მორწყე აკანო,
ცირა მარტის გეგლუხორცქჷ
ყანთარქჷ,
ქჷდმოფაზუ ემაულარჲ
კაკალო.
სო იბდა დო მუჭო იბდა,
ვამჩქჷნი,
მიშჲ თურიში ოკარკალეს
ვეწყორა,
გოწონერი ცვანაქ,
გჷთოხაჩქილქჷ,
წჷრჲ მაფალუს მუჭონერო
ვეწორა.
ლჷმა რე დო გორგოთჲ დო
ბორია რე,
ირფელჲ ცალენს დჷმაბადეშჲ
მაჯინუ,
თოლი განჯი, ირი წუმსჷ
მორია რე,
განთხის გერდა, ჩქიმჲ
ღორონქჷ მაჩინჷ.
**01. 03. 2015 წ.**

### საბოლაში აწნაჭკირა

გუბაზჲ ცვილირი,
ბრელჲ შხვათ ცვილირი,
მერაბჲ ცვილირი,
ზვიადჲ ცვილირი,
ალბეთ, განთხისჷ ქჲანა
ვეგერე,
თენერჲ ზღვა-მართუს
მითონკირილი.
შინიში გარამსჷ
ქალმოცაფულეს,
ეკომკინესჷ დო გეგნმობესუ,
მუ საწმოხონო მითოძ
საფულეს:
კალათიშჲ დუდი
გეგნომღობესუ.
ასე მითვოხექ კონწარჲ
გალიას,
გითიფცქვირინა ღობილჲ
ცხჷრაშე,
ბორჯი რჩქინელი მაზაკვალი
რე,
ნარღის გიტენს ჰამო ბირაშე.
ჩქიმი ღორონთი, მართალჲ
ღორონთი,
ნაწამებჲ ქირსე, ნიტე სო რექჷ,
შურჲ გეშამნათით სქანი
ოროთჲ
დო თინჲ შარასჷ ქიგმოწორეთჲ.
სინთელე მოკო, ქვერსემჲ
ხონარი,
დაჩხირ-გენიას გევუნტუათუ,
წიმე მელჷნა სონჲ ოხონალი,
საქვარი სქუას ვეგუტუათუ.
მიჩქჷ, ჩქიჩუეფი ქათაძლირკჷნა,
ქათაბირძლუნა ქვერსემჲ
ოლალსუ,
ჩქინჲ ოჭმარეშა ჭიჭე მირკჷნა,
ვათვოლურათჷ შხვაშჲ
უმოლესუ.
ღორონთი, დაფარი კინე
ცვილირი
აწომძჷდანი დუდჲგანგარალო,
ხეშე გეწიფშქვათ შურჲ,
დოკირილი,
დიხათ მიღუდანჲ გიომბარალო.

### კოტე ხასაიაშჲ გოსაშინეთ

თინერო ვორექჷ, მუჭო ფთქუა,
ვორექ თინერო,
ცოცხალო ნკირილჲ კოჩი ვეცი,

მა ლერსჲ ბჭუნსუნი,
სოდგარენჲ ჭარა მიკიგანსჷ
შურჲმოთირელი,
ირო ჩქიმჲ გურჲ დო ტვინი
შქასჷ
გილაცუცუნი.
მუქჷ დჷმაცვერჷ, მუქჷ გობჭაჭჷ,
მუქუ გომჭალჷ,
მუ რე, მუქ მოხვად, ვამარჩქილე
ნამთინჲ ცუსუნი,
ჩქიმი ლახარა ამდღარჲ
ღურუთჷ,
ვორწყექჷ, მონჭა რე,
ელჲ დო ვალჲშორო ეშე-გიმე
გილეტუცუნი.
ხიოლს ვაულუ ონჭეშჲ ჯინაშჲ
სინთელეშჲ ღანკი,
ირო სოდგარენჲ ეთმჲოჩირთუ
შქაში კონკერსჷ,
ზოთონჲმოთირელჲ ელმათირე
ბორია ხანგა,
ართჲ ჩილამურითჷ ირი
წუმსჷ დჷმამონკენსჷ.
ვამიჩქჷ, მუ ფთქუა,
მუჭო ფთქუა,
მისჷ უწუა,
ვორექ თინერო, ახავაი,
ვორექ თინერო,
ანთასჲ მანგარუშჲ აკოძინელჲ
ართი გურჭუა,
ნადიარჷშე ნადიარშა
გინოთირელი.
**1. 03. 2015 წ.**

## თენგიზ ფეტელვა
**(16. 06. 1955 წ.)**

### ქომხუტოლე ართშა!

შხვაშო ეფუნქ — თხოლო,
ჩქიმჲ გურც — გიობარჩხა,
ქომხუტოლე ართიშა!
ხოლო! ხოლო! ხოლო!

ცა დო დიხაშჲ ფოლო,
თოლემც მებთხოზ რღოლო,
უსქანებათ — მორო —
ირო ბჭკომუნა დოლო.

ვორექ სქანი მართვე,
ფსუა ქომჩი — მარდ რე,
მეტო მორდულჲ სქან ცა,
ეშე ვეშეჭვართე!

შხვაშო ეფუნქუ — თხოლო,
ჩქიმჲ გურც — გიობარჩხა,
ქომხუტოლე, ართიშა!
ხოლო! ხოლო! ხოლო!

### შუმილ ჰავა

ბჟა პიც იბონც,
ოლაფარეს ჩხანა ალარე,
„ჭიჭე ტურას ოსურ მოცუნც,
ამარ — მარა რე“.
მესიში თუთა, პირიშჲ ფიორჲ
შუმილჲ ჰავა რე,
აჭყიორება, ცირაში ჯუნა,
ცვანაშჲ ხვამე რე,
სოთ ომბოლჲ-ლეხი
ქორენანი —
გურშო ყამა რე!

### გივორექ ჩქიმ ოროს!

გივორექ ჩქიმჲ ოროს,
ბჟაში თუმა დო დოლოს,
ვამიჩქ სოვრე გენტებუქ
ცაში წკვენტი გეტებულც.
გივორექ ჩქიმჲ ოროს,
ბჟაში თუმა დო დოლოს,
გოხირილი ჩქიმჲ რინას,
უსქანეთ მეტებულც.
გივორექ ჩქიმჲ ოროს,
ბჟაში ჯერღვი გეთებულს
დო უქვინჯე ქიანას,
ნტერეფიშე ერკებულს!..

### კალათი

ცვერე ტყვიას დუცვილდა
ჩქიმჲ გეშაში ნძალათი,
ა — მიდელი კალათი,
ეფშა ჟეშხაშჲ ხვამათი!
ეგებ სქანო გიახვილას
სქანი სქუა ლალაქი,
მუმა გერიშჲ ოჭკუმალო
სონ ბჟაშჲ ქვინჯის ალაბდგი!

### კართე

დუდშა მემიძუ მურთაგათჷ
ნალართია ჯვეშიშჲ კართე,
ულირც მეტ მუ დოუძახა,
მარგალობათ გეკიბხართე.
დაუდშა მემიძუ მურთაგათჲ
ნალართია ჯვეშიშჲ კართე,
ჩქიმჲ დიხა დო ჩქიმი რინა
ჩქიმჲ ზისხირით ეკოთართე.
ცოდაშა ბიგაშჲ ნაშაყარას
რინას მივოციცონა,
მოკო ქჲანა ეკიბლე —
ჩქიმი ფსკეში ძიცონა.
მუზმა ქიგეჲნალი დო
მუზმა ქიგგაკილოთი,
ხე დო კუჩიხიქ მიდამირთჷ
სქანი ეკნაკიონტი,
კარი ვარა გოინჯამუდკო
ბორიათი მინორთი!
ჯინათ ვორექ გობრანგილჲ
მესიშჲ პირო თირთოლი
აკაბურცხა ყებურიშჲ
შურჲ ეკმართუ ჟიროთი,
ოშნერეფიშჲ მერჩქინათ
შური ეკიბხიროკი.
მუზმა ქიგეჲნალი დო
მუზმა ქიგგაკილოთი,
კარი ვარა გოინჯამუდკო
ბორიათი მინორთი!

### კინოხონიშჲ ცუდე

მა გეგმობჩი ჯვეშეფიში ცუდე,
თიშჲ ვარკალიშჲ ცოდას
ენობცუნდე,

ვაგოურზი სიჭიჭარაშჲ
ტირტინც,
საწიმოთო ვამათვინე მითინც!

მა გეგმობჩი ჯვეშეფიში ცუდე,
ნუძუეფიშჲ შური ენართუდეს.

თიშჲ გორგოთის გინარჯგინუ
რაქვალქ,
მიდამიღუ ეკი-დიკი ჯაქლაქ.

მირაგადუ: „აბა, თეშჲ იბშიო,
შურიშია, შური ვეშიბშიო?!“

მუკი-მუკი ვეშვაშვალუ ჩხვერი,
მუშენი რე რინა ოშინერი?!

დო გოფაბჩუნქ არზეფიში
თანგალს,
ბაღანობა შორშე
გილეხანგალს,

თურმე ნოცელც ნაფეფინა პირი,
მუშჲ ოროსჷ გითოღურუ კინი.

ირფელს თქუანს ჯვეშეფიში
ჯერღვი —
დობადონას მუსხი
გილებყერყი:

მა გეგმობჩი ჯვეშეფიში ცუდე,
თიშჲ ვარკალიშჲ ცოდას
ენობცუნდე!

### ფანდური

ვო, ფანდური, ფანდური,
სქანჲ ტანჲ ნამჷ ტყას ჩანდუნი,
მახოხია ჯაშქვიდუ
კისერც გითოჲფშანდუნი?!

ვო, ფანდური, ფანდური,
სქანჲ ტანჲ ნამჷ ტყას ჩანდუნი,
ნამჷ ბორიეფჲ გიქინძუანდ
კაბას ეკკოლანდუნი?!

ეჰეჰეი, ფანდური,
ტყა ხომ ქორთხილანდუნი?!
ამდღა ჩქიმჷ ხე გითქოხვახვ
ჯაშქვიდუში მანგური!

სქანჲ გოლვაფრო, ფანდური,
გიცორც ხინტურ-ხინტური,
საქორთუოს ქიგნაქუნი
სქანჲ ჭუეფიშჲ შქართუნი!

### ონწე

ცხვინდშე გეგმიბლ ჩქიმი ონწე,
ნამსუთ ბრელი ქიდიბკვანწე,
დიდაში ძუძუშჲ ნასინთერათ
არტახეფი გელაკარწე.
იკვანწალუ ჩქიმი ონწე,
ბაღანობა აშო მორწყე,
„სისა ტურა“ ნოსისმარი
მართუ გურცუ ქენოონწყვე.

ვაგმარზინუ ნტერალაშა,
წყურგილეფიშჲ ცუმენათ,
ქიმობრთჲ ოდაბადეშა დო
გურქ ვამკმართუ ჭუმენით.

ჩქიჩქობაში მინდორეფი
მეტებული მირკიანც,
დეკვირითი ინგირ-წყარცჲ,
მის უჩქუ მუს რე მიდიარც,

მიშჲ ჭუემც მიდიარც,
მიშჲ სისმარემც მიდიარც,
ბჟა დო თუთაშჲ ბოწწეფჷ
მართუს ენიირკიალც.
ქიმიაკიხეთ მაცალემქ
ონწეს რინა ვაჩანდას,
გიმათუთაშჲ ფურცელეფჲ
ჟინჲ ბორიას ვაფშანდას!

მიკვანწალე ჩქიმი ონწე,
ჭუეფიშე ვარე გონწე,
„სისა ტურაშჲ“ არკვანეფი
ომანესუ ქენოკონწე.
თუთარჩელაშჲ ნასოფერა

ვითომც ჭკუა მიღუდუ დო
მურთაგასუ გიმაბლურდუ,
ღურუს ჩქიჩქო გილაპუნდი,
პიჯის ბირა გილაბძუდუ,
ჩქიმჲ ჯარგვალც, გონწერილც,
ღორონთჲ პატრონჲ
მიზოჯუნდუ,
ყებურცუ შური გეშალაფუდ,
ტუტას მურიცხჲ მეჭორჭუდუ,
ჩქიმჲ ზისხირი ქიმშქობასუნ
ეგებ დიფა გედორთუდუ!
ლაკვატელი ცათე ქჲანა
რინაშჲ ჯასუ გოთხოზუდუ,
მონდა-კობუშჲ ურჩქინჯელას
გა უთუსბერს დოთორსუდუ.
თუთარჩელაშჲ ბოწოწეფი
მუნაფემც მითორზუდუ,
მურიცხემცუ გუტყობინნა,
ცას ჩილამური გილაცუნდუ.

### ბაგი დო ბებთუ

ულონობაშჲ ნირსი გობძუ,
შულადირი მაფუ თოლი,
ასე ბძირათ მუჭო ისქუ
კოჩეფიში მექურთოლი:
— გიმიჯინი ძღაბი გალე,
კარც ცხენამჲ კოჩჲ გერენია.
უჯგუ აშო გემნიცუნე,
ხეხარგელო მერთენია.
— ა, პატენი, ჩქიმჲ სუმარი,
მოზოჯითჷ ყებურიშა,
დია-მუა ვარე, მარა
გეიხუნუანთ ხეგურიშა.
— მინაულშა ვამომრთუმუ,
აკა, ბაგი, სო რე რცუნცუ?!
ემერჲ, ვორწყექუ ოლაფარეს
დირე-ოსხირს მეთოლუნცუ!
ე, სი ბაგი, მალეგაგი,
სი ვარექუ თინიშ მანგი,
ჭითა ლასტი საკოლხოზოს,
მუ რე ცუჩა ენირლვანქი?!
— სქვილი მაღაზა ვაკეთინი,
ოზიმალო ებჭკირ თანგი,
ანწი ვარა ქიმარჩვენუ
მინდორც მუშენ წიმიბხანგი!
— სი, მოდუდე სოფელიში,
მუ რე დიჭყი ,,ხოხორია“,
ამდღარ ბაგიშ ხელუაშე
ვაბალ ბებთუშ ნოხორია.
— მუ ჩქიმჲ ბრალი,
ეტყვებ ცოდას
ციმბირეფი გოკონია!
უკულ ჯიმა ირიკე დო
ეკაკეთი ლოქოია.
— ინა, ბრანწი, ვერწიოლა,
ძღაბის დუც მუს აწონენქუ,
წაქაშა ცვაჯ გინადველი
დუც ბოშკოჩო ათომენქუ!
„ბეფთუშჲ ცვაჯეფჲ საკვეთარო,
პიც გოძირანც სარკეცალო,
ინა წყარშა ენოუძუ
ფელოზი დო არკეცჲცალო“.
„ხოხ, ციმბირით მორსქინანცუ,
ცვაჯეფ წაქათ იშქირუას,
მარა უჯგუ სოფელიში
ცოდათ დუდი იშქვიდუას!“

### სისანდობაშჲ მანჯღვერი

შორცჷ ორდუ მონადირე
სისანდობაშჲ ჩალამცი,
ბეტარი ქირქეს გინაჯინე,
მანჯღვერ ნჯღუნცუ ჭარასი,
გოლუ თოფიქ, ღურაშჲ ოფიქ,
ცაშკარქ გინჯუ დო გენათუ,
მიახალუ გოხოლუაქი,
ქირი გერჩელი შანას გართუ.
შორცჷ ორდუ მონადირე
ბეტარქ ღურუს გოუსხაპუ,
თიში გიმნარღვეფი ქუქლემც
ოჭუმარე ქოუნჭყაფუ.
კოლხჲ გვალეფიშჲ ნაღაჭალა
ხანშე დო ხანშე,
თოლჲ ნტებული მონადირექ
ლიკვი ქინჯღვილაფუ ღვანწკშა.
გეგნირულეს უნჩაში გვალეფი
ლაკვატერი ჭუემქი,
კინოხონიში აგაგემქ
ერჩქალერი შურემქი.

### კო ჩანობას მუღუ სინთე – ერინანწყვილი

მა, გრაალი ვორექ,
ორსხეთიშჲ გურგინი გებდგუ,
გურც ენმოხუ არამხუტუში
კოსმოსიშე ნასხერი დიფა,
შურობუმუსუ ლაზარეში
ულირჲ ჭუეფიშჲ შარეფი
რშუდას,
მითაჟამშე რე მეჩამილი
სალომე დო მედეაშჲ ჭყუდა.
ჩქინ დიდალეფი უჩათი რენა
ეკოსურდილი,
მიშახართენა მორთაშჲ
ნირსემც,
ბორჯეფი ყურშუ,
გოთანდუ ცა დო ქიდიცანჯუ
ციორი სი — მი,
კო ჩანობას მოუღუნია
სინთე — ერინანწყვილი.

### გეიშანათი!

სი რექ ჩქიმი ოდაბადე
დო ნახაფულჲ ათე ცაში,
მორსხა ტიბუ ფერეფიში
ეკნაბუნათჲ გეგმორთი აში.
დარჩიჩიებუ დღახუეფი,
ოხვამე დო ცხოდიშჷ მესი,
მიქჷ მუჩესჷ ბჟა კოლხიში,
ზღვასჷ ენაქვერსემესი.
კინოხ მემიჩქ გილეთხინდი
სქანჲ სქუაში შურჲ დო გურცუ,
ვაგოურკა თინჲ ძალასუ
დო დიდაშა ხვამა მურცუ!
სახიოლო-ნაბორიუს
კინოხონიშჲ ოროს ლურცუ.

### ბჟაშჲ ჰიმნი

ო, ლილე, ო, ენლილი,
ართო გურშა ენილი!
„ბჟა დიდა რე ჩქიმი,
თუთა — მუმა ჩქიმი,
ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი —
და დო ჯიმა ჩქიმი“.
ფერეფიში ოქტავასჷ,
ბირას ონჯანს ბორჯღალო,
თუთალერი ულირით
შინა მიღუ ნორჩალო.
ირფელჲ ჟინცას იქოსუ
დო ელმუღუ ჯღალეფი, —
ტანიშჲ გიოცონალო
სვეტერია ჯვარეფი.
მუთ კვარჩხიშე იცაცუ—
ჭინკეშჲ ფოლოშჲ ცოთამათ,
არძა დინწყუ წკვარამით
დო გერჩქინდუ გოთანათ.

### ჰავა, ჰავაშიოდა

ჰავა ჰავაშიო-და,
ბჟაში თუმა, შიო, და
გურჲ უკმელაშჲ ბათქაფი,
ტანსჷ გიმარშვიო-და,
ხუპაფი დო ყურწაფით
ართო ქიმაშვიო-და,
ჰავა, ჰავაშიო-და.

კორთხო დორინალაში,
გიმე გიმაშქვიო-და,
კვიცი კვიცინაფილი
განთხის გიაშქვიო-და,
ნტერი მოტყობინელი
ცუჩა მიაშქვიო-და,
ჰავა ჰავაშიო-და.

ღამაკურიშჲ მოცქული,
ღურუს მიაშქიორ-და,
მარდი ჩქიჩქიშჲ — იშურე,
ირიათო გიცორდას,
ათაქ ვარე ხარჭალი
ორქო-ვარჩხილჲ დიორდა,
სოდგა ვარდა, თუდო რდა,
გოკონჲ გვალი ჟი ორდა,
ჰავა ჰავაშიო-და.

# რატომ არ აშენდა «ანაკლია პორტი»?! — «ეს ჟურნალია, შენ კინო ნახეო!»

**ალბათ, კარგახანს ვერ გამოვა, თანამედროვე კაცობრიობის მოაზროვნე ნაწილი, აშშ-ში ჩავლილი, „პრეზიდენტის არჩევნების“ მოულოდნელი შოკიდან!**
**— რატომ? — იკითხავს მავანი!**

ამ ცოდვილი დედამიწის ზურგზე მცხოვრებთა (განურჩევლად კონტინენტისა) უდიდესი ნაწილი, აშშ-ს მოვალე, ან მისი კოლონიის აბორიგენია, როგორც ჩვენ — ქართველები და ამიტომ გვმართებს მისდამი „თვალში ციცინი“ თუ არა, საგანგებო ინტერესი: რა ხდება ბატონის სახლში?!

ბუნებრივია, სხვებთან ერთად, მეც დიდ მოლოდინში ვიყავი, რა მოხდებოდა ამ არჩევნებზე, რუსეთის შემდეგ, სიდიდით მეორე იმპერიაში - ამერიკის შერთებულ შტატებში. არ გაგიკვირდეთ, ე.წ. „დემოკრატიის სავანეში“ დატრიალებულმა ამბებმა ბავშვობა გამახსენა, ყოველ შაბათ-კვირას, სოფლის კლუბისკენ რომ გავრბოდით კინოს სანახავად.

კინოს „ჟურნალი“ უძღოდა წინ — ხშირად, ფილმზე არანაკლებ საინტერესო.

აქედან დარჩა ხალხის მეხსიერებაში: — „ეს ჟურნალია, შენ კინო ნახეო!“

ბევრი რამ წარსულიდან რომ მეორდება, რა თქმა უნდა კარგია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, — კარგი თუ მეორდება!

რამდენად კარგია, დრო შეაფასებს, მაგრამ აშშ-ს „პრეზიდენტის“ არჩევნებს „ჟურნალად“ საქართველოში „პარლამენტის არჩევნები“ რომ წარემძღვარა, სწორედ ამან გამახსენა ჩემი ბავშვობა და სოფლის კლუბი.

გასული წლის 31 ოქტომბრიდან „აირია მონასტერი“ საქართველოში!

პარლამენტის არჩევნები ქვეყანაში: პუტჩისტთა, ყაჩაღთა, კაცის მკვლელთა, ნარკომანთა, ლესბოსელთა, ჰომოსექსუალთა და უცხო ქვეყნების ჯაშუშთა სათარეშოდ იქცა.

**ამათ შემყურეს, ჩემი მეგობრის ბაბუის, დიდი ხნის წინანდელი ნათქვამი მახსენდება: „ეგ არაფერია, რაც ახლა გვჭირს, ისეთი დრო დადგება, იქნებ ერთ ჭკვიანს ასი გიჟი აკავებდეს და კოჭავდესო!“**

**სწორედ ეს დრო უდგას ჩემს სამშობლოს, რადგან დიდი ხანია აქ დაბადებული, მაგრამ ცხრა მთას იქით დაფრთიანებული და გაწვრთნილი ნაქართველარნი მართავენ მას!**

ახლა, როცა ყველაფერი ჩავლილია, შეგვიძლია პირჯვარი გადავისახოთ და უფალს შევთხოვოთ: — **„ღმერთო, შენ დაიფარე ყველა — ხალხი და ქვეყანა, ისეთი სირცხვილისგან, რაც „დემოკრატიის“ სამშობლოდ წოდებულ აშშ-ში მოხდა და გაათავისუფლე ჩემი სამშობლო, მათ მიერ გაწვრთნილი თაღლითებისგან!**

აქ, ცოტა ხნით გადავუხვევ სათქმელს და ისევ ბავშვობის წლებს მივუბრუნდები.

აშშ-ში მიმდინარე არჩევნების დღეებში, რამდენჯერმე დამესიზმრა ბიძაჩემის ყავისფერი რადიომიმღები, ასეთივე ფერის ბარხატგადაკრული, ერთადერთი ჩამრთველი ხმის მარეგულირებელით, ღამის პირველ საათზე რომ მივუსხდებოდით და გამთენიამდე „ამერიკის ხმას“ ვუსმენდით.

მომდევნო შაბათ-კვირამდე ვარჩევდით მონასმენს ჩვენს თანამოაზრეებთან ერთად და ასე ვიზრდებოდით „თავისუფლების“ წყურვილით დაავადებულები.

„აშშ“ ჩვენთვის, სიტყვის თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების გარანტიის, სამართლიანობის სიმბოლო იყო!

ყველაფერი ეს, — ერთბაშად დაინგრა, აშშ-ს 46-ე პრეზიდენტის არჩევნების დღეებში და არა მარტო...

მომაკვდინებელია ყველაფერი ეს ქართული სინამდვილისთვის, რადგან არც პოზიციას და არც ოპოზიციას საკუთარი ხედვა არ გააჩნია და ყველაფერი ჩვენი ქვეყნის უპირველესი პარტნიორის ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზეა დამოკიდებული, რა მოხდება მომავალი ოთხი წლის მანძილზე ჩვენს სამშობლოში...

გაიხსენეთ, 2016 წლის არჩევნების შემდეგ (მაშინაც, იმდენად მოულოდნელი იყო არჩევნების შედეგი), კარგახანს არ სცნობდა საქართველოს მთავრობა დონალდ ტრამპის პრეზიდენტობას. ვიდრე იქ მდგომარეობა არ დალაგდა, ქართული მასმედიაც ჯიუტად იკავებდა თავს საკუთარი აზრი გამოეთქვა, ან მხოლოდ იმის „კოპირებას“ ახდენდა, საითკენაც ლიბერასტების სიო დაუბერავდა აშშ-ში.

მაშინ, დიდი ყურადღება არ მიმიქცევია ამ პროცესებისთვის, ის მოგვიანებით აღმოჩნდა ჩემთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი.

2012 წლიდან, გარდა იმისა, ქვეყანა კაცის მკვლელების და ადამიანის უფლებების ფეხქვეშგამთელავებისგან განთავისუფლდა, რამდენიმე ზემნიშვნელოვან სახელმწიფო პროექტს ჩაეყარა საფუძველი, რომელთა შორის „ანაკლია პორტი“ საუკუნის პროექტად იქნა შერაცხული და 2012 წლიდან, მის გარშემო მიმდინარე (ხშირ შემთხვევაში, სკანდალურ) მოვლენებში აქტიურად ვარ ჩართული.



**ამათ შემყურეს, ჩემი მეგობრის ბაბუის, დიდი ხნის წინანდელი ნათქვამი მახსენდება: «ეგ არაფერია, რაც ახლა გვჭირს, ისეთი დრო დადგება, იქნებ ერთ ჭკვიანს ასი გიჟი აკავებდეს და კოჭავდესო!» სწორედ ეს დრო უდგას ჩემს სამშობლოს, რადგან დიდი ხანია აქ დაბადებული, მაგრამ ცხრა მთას იქით დაფრთიანებული და გაწვრთნილი ნაქართველარნი მართავენ მას!**

2015 წლის დეკემბრამდე, საქმე ისე მიდიოდა, „ანაკლია პორტის“ ტენდერს უპირობო ფავორიტი, კონსორციუმი „ანაკლია პორტი და ეკოპარკი“ ჰყავდა, პორტის პროექტზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით, საერთაშორისო ექსპერტების მიერ მოწონებული „ანაკლია პორტის წინა საპროექტო ხედვით“ და კონსორციუმში შემავალი, ჩინური და ამერიკული გიგანტი კომპანიების მონაწილეობით, პროექტის დაფინანსების უზრუნველყოფით.

2015 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში, საქართველოს მთავრობაში მოულოდნელი ცვლილებების შემდეგ, მოკლე დროში, რადიკალურად შეიცვალა მდგომარეობა და „ანაკლია პორტის“ ტენდერის ფავორიტის როლში, ერთი წლის წინ დაფუძნებული, ყოველგვარი გამოცდილების და პორტის მშენებლობზე წარმოდგენის არმქონე „ხაზარაძე და კონტი ჯგუფი“, იგივე „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ მოგვევლინა!

ორი წლის მანძილზე გაწელილი ტენდერი, დაჩქარებული წესით, ქვეყნის ახალმა პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა და მისმა მოადგილემ ქუმსიშვილმა თვენახევარში დაასრულეს. ტენდერის ფინიშის სწორზე დარჩენილ კონსორციუმ „ანაკლია პორტი და ეკო პარკის“ საქმიანი შენიშვნები (რომელთა გადაწყვეტის გარეშე პროექტი ვერ იმუშავებდა, რაც მოგვიანებით ცხადი გახდა და ჩაიშალა კიდეც) უპასუხოდ დატოვეს და 2016 წლის 8 თებერვალს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ გამარჯვებულად გამოაცხადეს.



იმათთვის, **ვისაც მცირე წარმოდგენა მაინც ჰქონდა, რა მასშტაბისაა, წელიწადში 100 მილიონი ტონა ტვირთბრუნვის, 5,5 მილიარდ დოლარად შეფასებული პორტის მშენებლობა, დაუჯერებელი და ამოუხსნელი დარჩა, თუ რატომ მიიღო საქართველოს მთავრობამ, პროექტის დასაღუპად განწირული გადაწყვეტილება, როცა მისი ბედი ანდო კონსორციუმს, რომელიც, როგორც ზემოთ ვახსენე, ტენდერის დასრულებამდე ერთი წლით ადრე დაფუძნდა და საქმის ცოდნას და გამოცდილებას რომ თავი დავანებოთ, როგორც მოგვიანებით გაირკვა, არც პორტის მშენებლობის ფინანსური უზრუნველყოფის გარანტია გააჩნდა?!**

სამი წლის განმავლობაში, „ანაკლია პორტის“ მშენებლობა ადგილიდან არ დაძრულა (თუ არ ჩავთვლით ზღვის ფსკერიდან ამოტუმბულ 5 მილიონ კუბურ მეტრ მომწამვლელ მასას, რომელიც 100 ჰექტარ ფართობზე 8 მეტრის სიმაღლეზეა დაზვინული) და 2019 წლის დეკემბერში, მრავალგზის, უსაფუძვლო დათმობების შემდეგ, საქართველოს მთავრობამ, გაბედა და გადაწყვიტა ე.წ. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმისთვის“ ჩამოერთვა პორტის მშენებლობის უფლება.

ეს მაშინ, როცა ტენდერის პირობების მიხედვით: ტენდერში გამარჯვებულს, პირველი ეტაპის მშენებლობა 2019 წლის დეკემბერში უნდა დაესრულებინა და ანაკლიის პორტში გემები შემოსულიყო!

ყურადღება მიაქციე მკითხველო, ამ პირობის შესრულების შემთხვევაში:

**ვერანაირი პანდემია „ანაკლია პორტის“ მშენებლობას ხელს ვერ შეუშლიდა და იგი უპირობოდ გაგრძელდებოდა იმ კომპანიის მიერ, ვისაც იგი „სამრეწველო-სავაჭრო პორტად“ ჰქონდა დაგეგმილი და ამ მომენტისთვის ერთ მილიარდ დოლარზე მეტი ექნებოდა დახარჯული.**

**მავანთა დანაშაულებრივი ქმედების გამო დამდგარ შედეგს, ორმაგად ამძიმებს ის ფაქტი, რომ ტენდერში მონაწილეთაგან საუკეთესო კომპანიის შესარჩევად, ძვირად ღირებული (ამბობენ, 3 მილიონი ევრო გადაუხადეს მათ), გერმანელი ექსპერტები იყვნენ მოწვეულნი, რომლებიც პასუხს აგებდნენ მათ მიერ შერჩეული კომპანიის სანდოობაზე.**

**თუკი, საქართველოში ჩედენილ საუკუნის დანაშაულზე, ოდესმე პასუხის მომთხოვნი გამოჩნდა ქვეყანაში, გერმანელი ექსპერტები პასუხისგებას ვერ აცდებიან, მათი არჩევანის გამო!**

მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯის მართებულებაზე ეჭვები მაშინ გაძლიერდა, როცა ტენდერის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა — მშენებლობა 2016 წლის პირველ ივნისს დაწყებულიყო, დაირღვა და წლის ბოლომდე გადაიტანეს!

სხვა, უფრო საშიში ეჭვიც არსებობდა ტენდერის გამოცხადების დღიდან და იგი, პორტის დანიშნულების ▶

**«ხაზარაძე და კონტი ჯგუფი» და მისი სამთავრობო ლობისტები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ქ-ნი კლინტონი, მსოფლიო პოლიტიკაში «უცნობ ტრამპს» უპრობლემოდ დაამარცხებდა და ანაკლიაში, პორტად წოდებული «სამხედრო საზღვაო ბაზა» ასევე უპრობლემოდ დაფინანსდებოდა, რომელიმე არსებული ბაზის პროექტიც მოერგებოდა და ამისთვის სულაც არ იყო პორტის მშენებლობის გამოცდილება საჭირო**

# ანაკლიაში, არა «სამრეწველო სავაჭრო პორტის», არამედ «სამხედრო ბაზის» მშენებლობას აპირებდნენ! ქვეყნის მთავრობა და ე.წ. «ტენდერში გამარჯვებული» ამას ყურადღებას არ აქცევდა, ეშმაკზე გაყიდული ქართული მასმედია (იშვიათი გამონაკლისის გარდა), ამ ვერსიას კატეგორიულად უარყოფდა

„ნამდვილობას" ეხებოდა.

ერთ-ერთმა პირველმა მე ვახსენე, რომ: — **ანაკლიაში, არა „სამრეწველო სავაჭრო პორტის", არამედ „სამხედრო ბაზის" მშენებლობას აპირებდნენ!**

**ქვეყნის მთავრობა და ე.წ. „ტენდერში გამარჯვებული" ამას ყურადღებას არ აქცევდა, ეშმაკზე გაყიდული ქართული მასმედია (იშვიათი გამონაკლისის გარდა), ამ ვერსიას კატეგორიულად უარყოფდა.**

ყველასთვის მოულოდნელად, როცა 2019 წლის დეკემბერს, „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი" ანაკლია პორტის მშენებლობას ჩამოაშორეს, გამოჩნდნენ „ნატოს" გადამდგარი გენერლები და აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ბატონი პომპეო, რომლებმაც დაუფარავად განაცხადეს, რომ „ანაკლია პორტის" მშენებლობა უნდა გაგრძელდეს, იგი აშშ-ის და „ნატოს" ინტერესებში შედისო!

გასულ წელს კი, არაერთგზის ახსენეს „ანაკლია პორტის" მშენებლობა „ნატოს" სამხედრო ძალებთან კავშირში.

ზემოთ, დონალდ ტრამპის პირველი საპრეზიდენტო არჩევნები (08.11.2016) ვახსენე. ისიც გავიხსენოთ, რომ, მაშინ, მისი კონკურენტი, დემოკრატების წარმომადგენელი, ქალბატონი ჰილარი კლინტონი იყო.

ეს ძალიან მნიშვნელოვანია და ისიც ცნობილია, რომ პრეზიდენტყოფილ სააკაშვილს, ქალბატონ კლინტონთან, როგორც ამბობენ, კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

საინტერესოა ასევე, იმჟამინდელი პრემიერის, კვირიკაშვილის და სააკაშვილის სიმპათიები ერთმანეთისადმი, რომელიც მისი პრემიერობიდან განთავისუფლების შემდეგ საქვეყნოდ გამჟღავნდა.

იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ქ-ნი კლინტონი არანაკლებ რადიკალურია, ვიდრე, პრეზიდენტყოფილი სააკაშვილი, ადვილი წარმოსადგენია, ამ ქალბატონის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში რა უბედურება შეიძლებოდა საქართველოში (რაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ წინ გვაქვს ანაკლიაში) დატრიალებულიყო!

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, აქ გაიხსნა „გორდიას კვანძი", თუ რატომ გამოაცხადეს „ანაკლია პორტის" ტენდერის გამარჯვებულად „ხაზარაძე და კონტი ჯგუფი", იგივე „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი", რომელსაც საჯარო რეესტრის მიერ გაცემული, რეგისტრაციაში გატარების დამადასტურებელი ქაღალდის მეტი არაფერი გააჩნდა!

თუმცა, ნუ ვიჩქარებთ: **„ხაზარაძე და კონტი ჯგუფი" და მისი სამთავრობო ლობისტები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ქ-ნი კლინტონი, მსოფლიო პოლიტიკაში „უცნობ ტრამპს" უპრობლემოდ დაამარცხებდა და ანაკლიაში, პორტად წოდებული „სამხედრო საზღვაო ბაზა" ასევე უპრობლემოდ დაფინანსდებოდა, რომელიმე არსებული ბაზის პროექტიც მოერგებოდა და ამისთვის სულაც არ იყო პორტის მშენებლობის გამოცდილება საჭირო.**




## ვისაც მცირე წარმოდგენა მაინც ჰქონდა, რა მასშტაბისაა, წელიწადში 100 მილიონი ტონა ტვირთბრუნვის, 5,5 მილიარდ დოლარად შეფასებული პორტის მშენებლობა, დაუჯერებელი და ამოუხსნელი დარჩა, თუ რატომ მიიღო საქართველოს მთავრობამ, პროექტის დასაღუპად განწირული გადაწყვეტილება, როცა მისი ბედი ანდო კონსორციუმს, რომელიც, როგორც ზემოთ ვახსენე, ტენდერის დასრულებამდე ერთი წლით ადრე დაფუძნდა და საქმის ცოდნას და გამოცდილებას რომ თავი დავანებოთ, როგორც მოგვიანებით გაირკვა, არც პორტის მშენებლობის ფინანსური უზრუნველყოფის გარანტია გააჩნდა?!



ამასობაში, კიდევ ერთი საიდუმლოც გაცხადდა, თუ რატომ მოსთხოვა ე.წ-მა „ტენდერში გამარჯვებულმა" მთავრობას კატეგორიულად, პორტის მშენებლობის დაწყების ვადის, პირველი ივნისის ნაცვლად, 2016 წლის ბოლომდე გადაეტანა!

ტენდერში გამარჯვებულს და მათ ლობისტებს დროის მოგება სჭირდებოდათ (აშშ-ში, პრეზიდენტის არჩევნები 2016 წლის 8 ნოემბერს იყო დანიშნული), რომ მათ მიერ დაგეგმილი თანადგომა მიეღოთ, მაგრამ, როგორც უკვე ვახსენეთ, კვირიკაშვილ-ქუმსიშვილ-ხაზარაძის საიდუმლო გეგმა, თავდაყირა დააყენა აშშ-ში ჩატარებული არჩევნების შედეგმა და ასე ჩაიშალა ანაკლიაში „სამრეწველო-სავაჭრო პორტს" ამოფარებული „სამხედრო ბაზის" მშენებლობა! (ცალკე და უმძიმესი თემაა, რა საშიშროებას მოიცავს „სამხედრო ბაზის" მშენებლობა ანაკლიაში).

როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობამ, ანაკლიაში პორტის მშენებლობის ახალი ტენდერი გამოაცხადა. ახალი ტენდერის გამოცხადება (ისევე, როგორც პირველი, ჩავარდნილი ტენდერი) აშშ-ს პრეზიდენტის არჩევნების სკანდალურ მოვლენებს ემთხვევა, რაც არასასიამოვნო მოგონებებს იწვევს.

შეცდომები რომ არ განმეორდეს, ახალი ტენდერის პირობებში ბევრი საკითხი ბუნდოვანია, რაც სასწრაფოდ უნდა გასწორდეს და არაორაზროვნად გაცხადდეს:

1. არაფერია ნათქვამი, პორტის დანიშნულებაზე და მისი აშენების ადგილზე.

2. რას უპირებენ, ხაზარაძის და მისი ავანტიურისტების მიერ ზღვის ფსკერიდან ამოტუმბულ, შეუსწავლელ მასას, რომელიც წელიწადზე მეტია ანაკლიას და ანაკლიელებს წამლავს(ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით)!

3. ცნობილია, რომ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის" მიერ შერჩეული ადგილი არ შეესაბამება „სამრეწველო-სავაჭრო პორტისთვის" მისადაგს და იგი, მდინარე თიქორის შესართავთან, ერთი კილომეტრით სამხრეთითაა გადასატანი.

აქედან გამომდინარე, პირველ რიგში, ზღვის ფსკერიდან ამოტუმბული მომწამლავი მასის უვნებელყოფაა გადასაწყვეტი, რაც მისივე შემოქმედს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს" უნდა დაეკისროს, ან ტენდერის პირობებში, პირველი რიგის მოსაგვარებელ საკითხად შევიდეს!

ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, უახლოეს დღეებში, „ანაკლია პორტის ეკოლოგიური მონიტორინგის ჯგუფი" მეცნიერულად შესწავლილ და დასაბუთებულ პროგრამას წარუდგენს, საქართველოს მთავრობას.

**დავით ქობალია**

**ვერანაირი პანდემია «ანაკლია პორტის» მშენებლობას ხელს ვერ შეუშლიდა და იგი უპირობოდ გაგრძელდებოდა იმ კომპანიის მიერ, ვისაც იგი «სამრეწველო-სავაჭრო პორტად» ჰქონდა დაგეგმილი და ამ მომენტისთვის ერთ მილიარდ დოლარზე მეტი ექნებოდა დახარჯული. მავანთა დანაშაულებრივი ქმედების გამო დამდგარ შედეგს, ორმაგად ამძიმებს ის ფაქტი, რომ ტენდერში მონაწილეთაგან საუკეთესო კომპანიის შესარჩევად, ძვირად ღირებული (ამბობენ, 3 მილიონი ევრო გადაუხადეს მათ), გერმანელი ექსპერტები იყვნენ მოწვეულნი, რომლების პასუხს აგებდნენ მათ მიერ შერჩეული კომპანიის სანდოობაზე. თუკი, საქართველოში ჩედენილ საუკუნის დანაშაულზე, ოდესმე პასუხის მომთხოვნი გამოჩნდა ქვეყანაში, გერმანელი ექსპერტები პასუხისგებას ვერ აცდებიან, მათი არჩევანის გამო!**

# როგორ ებრძოდნენ ქარებს ლაზები და მეგრელები

## ნონა ქობალიას ბლოგი «მთვარის მოზაიკა»

**მეგრელებსა და ლაზებს ქარის სტიქიის, ქარების მბრძანებლისადმი ( ქარზოჯუ, მექარე, მექარეში, ბორია ღორონთი) სრულიად განსაკუთრებული კრძალულება და შეუპოვრობა (ერთდროულად) ჰქოდათ. ამის მიზეზი იყო ის, რომ ქარზოჯუს დანდობასა და წყალობაზე იყო დამოკიდებული მოსავლის ბედი და სიმშვიდე ნავსა და ჯარგვალში.**

**ქარის მიმართ განსაკუთრებული კრძალვა ჩანს თუნდაც ფორმულაში, — „ჯაქუ-აბორიას!“ (ხეს, ქვას და ქარს! — ქართული შესატყვისია „მტრისას“), რომლის თანახმად, ქარი ისევე შეუსმინარია, როგორც ქვა და ხე და ძნელად ემორჩილება მოხვეწის, მლოცველის ლოცვა-ვედრებას, ამასთან ქარს მიაქვს ყველა სიავეც (თუკი, კეთილად განაწყვე ან მით უმეტეს, დაიმორჩილე).**

**კოლხურ ეკერეცხში ანუ კალენდარში ქარის პატივგებისთვის საგანგებო დღეც იყო გამოყოფილი — 6 მაისი (ძვ, სტილით), რომელსაც ბორიამო დღას, მექარობა დღეს ეძახდნენ. ამ დღეს სრულდებოდა „ბორიაშ დუდოხვამა“ — (მთავარი ლოცვა ქარისთვის).**

მნათობების მოძრაობასა და ატმოსფერულ ცვლილებებში მენცარული, მერცხულური განბრძნობის წყალობით თუ ცხოვრებისეული დაკვირვებით ჩახედულ მეგრელებს ეს დღე შეთხვევით არ შეურჩევიათ — ისინი თვლიდნენ, რომ ამ დღეს მექარე ღმერთი აუცილებლად შეახსენებდა თავს ადამიანებს ან მძლავრი გრიგალის, ზღვაურისა და მისი თანმხლები შტორმის სახით, ან თუნდაც დამნდობი, ზოგჯერ სასიამოვნო ქარის, მსუბუქი ბრიზის სახით, რასაც ნოესობის წვიმასაც (ან საწვიმარ ღრუბლებს — მაჭვიმერ ფომფიეფს ) მოაყოლებდა ხოლმე.

**ბორიაშ ხვამა — ქარის ლოცვა სრულდებოდა სხვა დღეებშიც, როცა ზღვაზე თუ ხმელეთზე ქარი მძლავრობდა, მაშინაც, როცა ჯეჯილი ამოდიოდა და მაშინაც, როცა ყანა მწიფდა. იმისთვის, რომ ქარს გაზაფხულზე — ჯეჯილი, შემოდგომაზე კი ყანა არ ჩაეწვინა და შემოული ღომისა და სხვა ნათესების მარცვლები არ დაეფანტა.**

ქარის ლოცვა აღევლინებოდა დამტვერვის პერიოდშიც, რადგან სწორედ იგი ახდენდა ბუნებრივ დამტვერვას. დამტვერვის პერიოდში აღვლენილი ლოცვის ობიექტს — ქარს კონკრეტული სახელი ჰქონდა — ბორია მაჩიჩალი, ბორია ჩიჩა (დაახლოებით — მჩინჩლავი ქარი), ამ სახელში ერთდროულად გვქონდა მოცემული ქარის ფუნქცია (ჩიჩუა — ჩინჩვლა) და ქარის სახე (ჩიჩა — თმაგაწეწილი ქარი).

ბორეასზე — ბორიაზე შესახელებული საწირი უსათუოდ ხის გობზე ( ოხვამერ ჯაშ ნისორი) უნდა დაწყობილიყო და არავითარ შემთხვევაში, მაგალითად თიხის კეცზე, თიხის ლანგარზე ( სხვა ლოცვებისგან განსხვავებით), რადგან ხე, ერთის მხრივ, ქართან ბრძოლის, ქარისადმი წინააღმდეგობის სიმბოლო იყო, მეორე მხრივ კი, მისი სიმძლავრის, ძლიერების, საერთოდ არსებობის მაჩვენებელი ანუ მისი უშუალო მაცნე.

თუ ზედმიწევნით იცავდნენ ტრადიციას — გობი ნაძვისგან უნდა ყოფილიყო გამოთლილი (ნუზუშ ნისორი, ნიშ ნისორი).

**ის, რომ ტაბლა უსათუოდ ნაძვისა და საზოგადოდ ხისა უნდა ყოფილიყო, სავარაუდოდ, უკავშირდება იმას, რომ სწორედ ნაძვის ხეშია გამოღებული ნავი (მეგრულად — ნიში) რომელიც იოლად არ ემორჩილება ზღვის ქარებს, ქართან მებრძოლია ღია ზღვაში და იცავს მენიშოლს — მენავეს, ნაოსანს, მეთევზეს ღია ზღვაში.**

როგორ ხდება, რომ ქარის ღმერთისადმი ვედრებისას მას ამ გობითვე უგზავნიან შეფარულ მუქარას და მიანიშნებენ შესაძლო დაუმორჩილებლობაზე, ეს ალბათ ერთადერთი ლოცვაა, რომელშიც ვლინდება ორგვარი, წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება ვედრების ობიექტისადმი .

საერთოდ, ქარებთან დაკავშირებულ ყველა რიტუალში მეტნაკლებად არის ქარისადმი შეუპოვრობისა და მუქარის, პირდაპირი შებრძოლების და თვით აბუჩად აგდების ელემენტებიც კი, მაგრამ ამაზე ქვემოთ, ახლა კი დავუბრუნდეთ ბორიაშ ხვამას.

მლოცველი (მახვამერი) ბორიაშ ხვამასთვის განკუთვნილ ტაბლას ოხვამერ ნისორს (სალოცავ გობს), ყანაში გაიტანდა და ყანის დანდობას, ხელშეწყობას შესთხოვდა. მნიშვნელოვანია, რომ იგი იქვე იბლიშ წკირს — იელის ჩხირს (ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ იბლიშ ჯვარს — იელის ჯვარსაც დაასობდა. ჯერ ერთი, იბლი, იელი ელიას — ამინდის (და კონკრეტულად ქარის სტიქიისაც) გამგებლის რიტუალური სიმბოლო იყო, და მეორეც — ამაში ვლინდებოდა ხის, როგორც ქართან მებრძოლის, ფუნქცია და შეფარული თუ გამჭვირვალე მუქარა, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ.

ასეთი იყო ქარის შეკვრის რიტუალებიც — ბორიაშ ხართუა, კუჩხიშ გითოღალა (ქარის შეკვრა, ფეხის გამოღება).

**მთისა და ბარის მეგრელი, მით უფრო, თუ საქონელი ავდარსა და ქარიშხალში გარეთ ჰყავდა დარჩენილი, ჯორკოს (კველას) აიღებდა, ბაწარს (ჭაპუს) შემოახლართავდა ფეხებზე და მექარე ღმერთს, ქარების მბრძანებელს შეევედრებოდა — ასე შეკარი შენი გამოგზავნილი ქარი, რომ ხეტიალს შეეშვას და თავის სამყოფლოს დაუბრუნდესო. (უნდა ითქვას, რომ მსგავსი რიტუალი სრულდებოდა მგლის, საერთოდ, ნადირის კრიჭის შესაკრავადაც და ავი განზრახვის მქონე გალენიშების განსაფრთხობადაც ასეთ სიტუაციებში, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა).**

**ქარის ასალაგმად ზღვისპირას მოსახლე მეგრელები ძაფით შეკრავდნენ ხისგან გამოთლილ ბუტაფორიულ მაკრატელს და ზღვაში გადაისროდნენ, რათა, დაუძირავი ხის მაკრატლის ტივტივზე ქარბორბალას ხსომებოდა რომ იყო სხვა ძალაც, რომელიც, თუ არ ჩადგებოდა, ფრთებს შეაკვეცდა.**

ზღვიდან დაშორებული ხმელეთის მეგრელები ხის მაკრატელს ჯარგვლის წინკარში (აბარწაზე) ან გადმოხურულზე (მაქუდორზე) დაკიდებდნენ ბაწრით, რომ ქარი ფრთების დაჭრის შიშით უკანვე გადახვეწილიყო: სოლე მორთინ, თევრე ფეუ! (დიახ, ფეუ და არა მეუ, ფეუში უკან გაფრენა — გადახვეწის, ფურთხის გაგებაც იდო).

რაც შეეხება ლაზ-მეგრელ ზღვაოსნებს და მეთევზეებს, მათი ბრძოლა ქართან სრულიად გასაკუთრებულ სიმაღლეზე იყო ასული. ასეთი იყო ზღვიდან ამდგარი ქარისთვის ფეხის გამოჭრის რიტუალი, რაზეც დეტალურად სხვა ბლოგში ვიპალარაკებთ, ამჯერად კი აღვნიშნავთ, რომ უხუცესი მეთევზე, ნაოსანი პერანგისამარა დადგებოდა აბობოქრებული ზღვის წინაშე და სიმბოლურად დანას გაუსვამდა და გამოუსვამდა, ფეხქვეშ გაუტარებდა ზღვიდან ამდგარ ქარბორბალას — ფეხგამოჭრილი ქარბორბალა ზღვის ზედაპირზე თავს ველარ დაიჭერდა და ზღვის უფსკრულში დაინთქმებოდა (ალიო ქობალიას ჩანაწერებიდან ოჩამჩირელი ლაზების შესახებ) .

ქარისათვის განკუთვნილ ძველ მეგრულ რიტუალებს შორის არის ერთი ფრიად უცნაური, ღიმილისმომგვრელი (მაგრამ არა მარტივი!) რიტუალიც: როგორც ეთნოგრაფი ალიო ქობალია წერს, ქარის განსაფრთხობად ლაკადის სოფლებში (შესაძლოა სხვაგანაც), წინკარში გარდაცვლილის ნიფხავს გაფენდნენ. მისი განმარტებით, ეს იყო ორ სტიქიას, ორ ღვთაებას შორის — ქარების მბრძანებელსა და მიცვალებულ სულთა მბრძანებელ ძალას, გალენიშ ორთას შორის ომის პროვოცირება, რაც ქარის ჩაქვესკნელებით, პარალელურ სამყაროში, თუ გნებავთ, მოუსავლეთში გაგზავნით მთავრდებოდა. სახელდობრ, ნიფხვის, საწმერთულის გაფენაში კი იდო მეგრელის დამცინავი დამოკიდებულება ქარისადმი (გალენიშ ორთა ოსურიშ კურთას ქიგგორთვანს დუს — გალენიში ნიფხავს ჩამოგაცმევს თავზე)“.

დღეისათვის ეს იყოს. მით უფრო, რომ ქარი მომძლავრებას აპირებს და ნუ გავუმხელთ ყველაფერს, რაც მეგრელებმა მის ასალაგმად ვიცით — ჩუმად და მოულოდნელად ვიმოქმედოთ.



**კოლხურ ეკერეცხში ანუ კალენდარში ქარის პატივგებისთვის საგანგებო დღეც იყო გამოყოფილი — 6 მაისი (ძვ, სტილით), რომელსაც ბორიამო დღას, მექარობა დღეს ეძახდნენ. ამ დღეს სრულდებოდა «ბორიაშ დუდოხვამა» — (მთავარი ლოცვა ქარისთვის)**



**ის, რომ ტაბლა უსათუოდ ნაძვისა და საზოგადოდ ხისა უნდა ყოფილიყო, სავარაუდოდ, უკავშირდება იმას, რომ სწორედ ნაძვის ხეშია გამოღებული ნავი (მეგრულად — ნიში) რომელიც იოლად არ ემორჩილება ზღვის ქარებს, ქართან მებრძოლია ღია ზღვაში და იცავს მენიშოლს — მენავეს, ნაოსანს, მეთევზეს ღია ზღვაში**







**ბორიაშ ხვამა — ქარის ლოცვა სრულდებოდა სხვა დღეებშიც, როცა ზღვაზე თუ ხმელეთზე ქარი მძლავრობდა, მაშინაც, როცა ჯეჯილი ამოდიოდა და მაშინაც, როცა ყანა მწიფდა. იმისთვის, რომ ქარს გაზაფხულზე — ჯეჯილი, შემოდგომაზე კი ყანა არ ჩაეწვინა და შემოული ღომისა და სხვა ნათესების მარცვლები არ დაეფანტა**

# ღომი — აგროტექნიკა, მოვლა-მოყვანის წესები











## ნიადაგის მომზადება

ღომის წარმოებისათვის ნიადაგის მომზადების წესი მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: შემოდგომის პერიოდში — ნაწვერალის აჩეჩვა, მზრალად ხვნა, 23-25 სმ-ის სიღრმეზე. ხოლო გაზაფხულზე კი ხდება მზრალის თესვისწინა დამუშავება. დათესვამდე ტარდება 2 კულტივაცია 10-12 სმ სიღრმეზე, თანმიყოლებული დაფარცხვით კარგად გაფხვიერების მიზნით შესაძლებელია ნიადაგს დასჭირდეს დაფრეზვა.

ნიადაგის ძირითადი განოყიერება. ღომისათვის საჭირო საკვები მინერალური ელემენტების ზუსტი დოზების დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ნიადაგისათვის აგროქიმიური ლაბორატორიული ანალიზის ჩატარებით.

ღომის კულტურის განოყიერებისათვის საჭირო სასუქების საორიენტაციო დოზების დადგენის მიზნით კი შესაძლებელია ვიხელმძღვანელოთ შემდეგი სქემით: — ყოველი ერთი ტონა მოსავლის (ნედლი მარცვლის წონის) მისარებად ღომს ნიადაგიდან გამოაქვს:

**აზოტი – 12,8 კგ. (სუფთა ნივთიერება).**
**ფოსფორი – 4,4 კგ. (სუფთა ნივთიერება).**
**კალიუმი – 8,4 კგ. (სუფთა ნივთიერება).**
**მაგნიუმი – 2,0 კგ. (სუფთა ნივთიერება).**
**კალციუმი — 4,0 კგ. (სუფთა ნივთიერება).**

ღომის კულტურაში ყოველი ერთი ტონა მოსავლის მისაღებად კულტურის მიერ გამოტანილი მინერალური ელემენტების რაოდენობების და შეთვისების კოეფიციენტის გათვალისწინებით, დგინდება ღომის კულტურაში ყოველი ერთი ტონა მოსავლის მისაღებად საჭირო შესატანი მინერალური ელემენტების რაოდენობები.

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ყოველი ერთი ტონა მოსავლის მისაღებად საჭიროა ნიადაგში შეტანილი იქნას მინერალური ელემენტების შემდეგი საორიენტაციო რაოდენობები:

**აზოტი – 16,0 კგ. (სუფთა ნივთიერება).**
**ფოსფორი – 12,4-12,5 კგ. (სუფთა ნივთიერება).**
**კალიუმი – 11,3-13,1 კგ. (სუფთა ნივთიერება).**
**მაგნიუმი – 2,5 კგ. (სუფთა ნივთიერება).**
**კალციუმი — 4,8 კგ. (სუფთა ნივთიერება).**

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული რაოდენობები მოცემულია მხოლოდ ერთი ტონა მოსავლის მისაღებად და იგი უნდა გამრავლდეს იმდენ ტონაზე, რამდენიც დაგეგმილი გვაქვს რომ მივიღოთ.

## თესვა

ღომი სხვა პურეულ კულტურებთან შედარებით გვიან ითესება. თესვა იწყება აპრილის მეორე ნახევრიდან და უნდა დასრულდეს მაისის ბოლომდე, მაგრამ ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: თუ თესვის ვადამ გადაიწია მაისის ბოლომდე და ამ პერიოდში ნიადაგი გამომშრალია, ასეთ პირობებში დათესვის შემთხვევაში შესაძლოა, აღმოცენების გაჭიანურება და მოსავლიანობის შემცირება. აქედან გამომდინარე, ღომის თესვის ვადის მაისის თვეში გადაწევა შედარებით გამართლებულია დასავლეთ საქართველოს რეგიონებში, სადაც მეტი ტენიანობაა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში კი ღომის თესვა უმჯობესია დაიწყოს აპრილის მეორე ნახევრიდან და დასრულდეს აპრილის ბოლომდე.

## კვების არეები

ღომი ითესება სამარცვლედ, ფართო მწკრივებად, მწკრივებს შორის დაშორება შეადგენს 45 სმ-ს. ასევე უფრო ეფექტური შესაძლოა აღმოჩნდეს მწკრივთა შორის მანძილების შემცირება და სამაგიეროდ, მწკრივში მცენარეთა შორის დაცილების კონტროლი, ანუ ღომის დათესვა მწკრივთაშორის 30 სმ-ის, ხოლო მწკრივში მცენარეთა შორის 10 სმ-ის დაშორებით. შესაძლებელია ასევე ღომის ზოლებრივი წესით თესვა — ამ დროს ზოლში მწკრივებს შორის საჭიროა 10 სმ-ის დაცილება, ხოლო ზოლებს შორის კი მანძილი უნდა იყოს 45 სმ. ზოგგან იყენებენ ღომის კვადრატულ-ბუდობრივ თესვასაც 45X45 სმ-ზე.

ღომის დასათესად შესაძლებელია გამოყენებული იქნას, ჩვეულებრივი ხორბლის სათესი მანქანები.

## თესვის ნორმა

ღომის თესვის ნორმა დამოკიდებულია თესვის წესსა და კვების არეზე. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ერთ ჰაზე საჭიროა საშუალოდ 4-დან 15 კგ-მდე თესლი. ასევე გასათვალისწინებელია რომ შედარებით მშრალ ადგილებში თესვის ნორმა უფრო ნაკლებია საჭირო, ვიდრე ტენით უზრუნველყოფილ ნაკვეთებში.

## თესლის ჩათესვის სიღრმე

ღომის თესლის ჩათესვის სიღრმე დამოკიდებულია ნიადაგის მექანიკურ შემადგენლობაზე და ტენით უზრუნველყოფის საკითხებზე, ანუ ურწყავ და მსუბუქი შემადგენლობის (ფხვიერ) ნიადაგებზე ღომი შედარებით ღრმად ითესება, დაახლოებით 4-5 სმ-ის სიღრმეზე. ხოლო ტენით უზრუნველყოფილ და მძიმე ნიადაგებში კი ღომი საჭიროა უფრო ზერელედ დაითესოს – 2-3 სმ-ის სიღრმეზე.

დათესვის შემდეგ სასურველია, ნათესის მოტკეპვნა საბეკნელით — ეს უზრუნველყოფს თანაბარ აღმონაცენს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ღომის კულტურისათვის.

## ნათესის მოვლა

აღმოცენების შემდეგ, როდესაც მცენარე განივითარებს 2-3 ფოთოლს, საჭიროა ჩატარდეს პირველი თოხნა და ამასთან ერთად უნდა მოხდეს ნათესის შემეჩხერება, მწკრივებში მცენარეთა შორის დაგეგმილი მანძილების დატოვებით. გასათვალისწინებელია, რომ პირველი თოხნა უნდა ჩატარდეს შეძლებისდაგვარად ფრთხილად, მცირე (მაქსიმუმ 4-5 სმ-ის) სიღრმეზე, რადგან ამ დროს ღომის აღმონაცენის გამორჩევა სარეველებისაგან რთულია და საჭიროა ყურადღება, რათა არ დაზიანდეს მცენარე.

ნათესის შემდეგი თოხვნები და სარეველებისაგან გასუფთავება გრძელდება მანამ, სანამ ღომის მცენარე არ განივითარებს თაველს („თავთავს“). ამ პერიოდის მანძილზე, უშუალოდ კონკრეტულ ნაკვეთში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ღომს შეიძლება დასჭირდეს საშუალოდ 2-3-ჯერ გათოხნა.

იმ შემთხვევაში თუ, ვეგეტაციის პერიოდში დაგეგმილია დამატებითი გამოკვების სახით სასუქების შეტანა, აუცილებელია რომ სასუქის შეტანა მოხდეს უშუალოდ თოხნის ოპერაციების წინ.

მოსავლის აღება. ღომს იღებენ უშუალოდ კომბაინებით. ამ მცენარის დადებითი მხარე ის არის, რომ მისი თაველის მარცვალი დაახლოებით ერთდროულად შემოდის, რაც აადვილებს მოსავლის აღების ვადის სწრო დადგენას.

## სიმწიფის მაჩვენებლები

ღომის შემოსვლას იწყებს ყვავილობის დამთავრებიდან 30-40 დღის შემდეგ. მოსავლის აღების პერიოდში ღომის ჩალა და თვით თაველიც წყლის საკმაო რაოდენობას შეიცავს, რის გამოც რთულდება მისი გამოლეწვა. ამიტომ კარგ შედეგს იძლევა მოსავლის ორ ფაზად აღება:

მოჭრა სამკელების საშუალებით და ღვარეულებათ დატოვება ღვარეულების შეშრობის შემდეგ მათი აღება კომბაინით და გალეწვა კომბაინიდან გამოლეწილი მარცვალი აგრეთვე ტენიანია და საჭიროა იგი სათანადოდ განიავდეს, შეშრეს და შემდეგ იქნას შენახული.

სათესლე მიზნებისთვის ღომის სათესლე მასალის ასაღებად, საქართველოში გავრცელებული წესი იყო ჯერ კიდევ მინდორში კარგად განვითარებული ძლიერი მცენარეების შერჩევა და უშუალოდ მათი თესლის აღება. ამ დროს, ასეთ ძლიერად განვითარებულ, საღ მცენარეებს აჭრიდნენ თაველებს, აშრობდნენ კალოზე და შემდეგ გამოლეწავდნენ.

**1941 წლის 21 ივნისის საღამოს კუნცევოს აგარაკზე სასწრაფოდ გამოიძახეს სტალინის პირადი ექიმი, პროფესორი პრეობრაჟენსკი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მკურნალობდა სტალინს. პროფესორმა პაციენტის გასინჯვისთანავე განაცხადა, რომ ის სასწრაფოდ უნდა გადაეყვანათ საავადმყოფოში, — ჩირქოვანი ანგინაა ჩამოყალიბებული და ტემპერატურა 40 გრადუსს აღემატებაო. სტალინმა საავადმყოფოში გადაყვანაზე სასტიკი უარი განაცხადა. პროფესორმა პირველადი დახმარება აღმოუჩინა სტალინს და შეწუხებული იდგა იმის გამო, რომ პაციენტი მას არ დაემორჩილა. სტალინმა პროფესორს თხოვნით მიმართა: ხვალ, დასვენების დღის მიუხედავად, ქალაქიდან არ გახვიდეო. თანაც მკაცრად გააფრთხილა: ჩემი დიაგნოზის შესახებ არავინ არაფერი იცოდესო.**

# 1941 წლის 22 ივნისს დიდი სამამულო ომი დაიწყო!



22 ივნისს, 3 საათსა და 40 წუთზე, თავდაცვის მინისტრმა, მარშალმა სიმონ ტიმოშენკომ უბრძანა გენშტაბის უფროს გიორგი ჟუკოვს, ეცნობებია სტალინისთვის, რომ გერმანელები ბომბავენ საბჭოეთის ქალაქებს, რომ ომი დაიწყო.

პროფესორის უმკაცრესი გაფრთხილების მიუხედავად, ავადმყოფმა სტალინმა მანქანა გამოიძახა და კრემლისკენ გაეშურა. უკვე ერთი საათის შემდეგ, 4 საათსა და 40 წუთზე, კრემლში პოლიტბიუროს სხდომა მიმდინარეობდა, რომელსაც სტალინი უძღვებოდა.

—სასწრაფოდ დაუკავშირდით გერმანიის ელჩს, — მიმართა მოლოტოვს სტალინმა.

მოლოტოვმა უპასუხა, რომ გერმანიის ელჩი გრაფი ფონ შულენბერგი თვითონ ითხოვს საგარეო უწყებაში მოსვლას. ვიაჩესლავ მოლოტოვს დაევალა, სასწრაფოდ მიეღო გერმანიის ელჩი და დალაპარაკებოდა.

ჟუკოვმა სთხოვა სტალინს, სასწრაფოდ მიეცა მისთვის დირექტივები სამხედრო ძალების ასამოქმედებლად.

— დაველოდოთ მოლოტოვს, — მშიდად უპასუხა სტალინმა.

ცოტა ხანში მოლოტოვმა შეაღო პოლიტბიუროს კარი და განაცხადა:

— გერმანიამ ომი გამოგვიცხადა.

სხდომაზე სიჩუმე ჩამოვარდა. დუმილი საკმაო ხანს გაგრძელდა.

ჟუკოვმა გარისკა და სტალინს კვლავ სთხოვა დირექტივა, მოქმედების დროულად დასაწყებად და მოწინააღმდეგის შესაჩერებლად.

— არა, კი არ შევაჩეროთ, არამედ გავანადგუროთ! — შეუსწორა ტიმოშენკომ.

22 ივნისს, 9 საათსა და 30 წუთზე სტალინმა თავდაცვის მინისტრ ტიმოშენკოსთან და გენშტაბის უფროს ჟუკოვთან ერთად ჩაასწორა ბრძანების ტექსტი და ხელი მოაწერა ბრძანებას საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში მობილიზაციის დაწყებისა და სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ. იქვე გადაწყდა, რომ დღის 12 საათზე საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ მოლოტოვი მიმართავდა საბჭოთა ხალს საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შესახებ. პოლიტბიუროს არც ერთ წევრს აზრადაც არ გაუვლია, რომ მათ წინაშე იდგა და ბრძანებებს იძლეოდა ავადმყოფი იოსებ სტალინი, რომლის ტემპერატურაც 40 გრადუსს აღემატებოდა.

მოლოტოვიც კი, რომელიც სტალინის უახლოეს ადამიანად ითვლებოდა, ვერ მიხვდა იმ მძიმე მდგომარეობას სტალინისა, რომელსაც ის ავადმყოფობის გამო განიცდიდა და ჩვეულებრივად იკითხა: — რატომ მე და არა სტალინი?

სტალინის ბრძანება შესრულდა. საბჭოთა ხალხს მოლოტოვმა მიმართა, ხოლო წითელმა არმიამ და გამწვევმა პუნქტებმა სტალინის რკინის ხელით ხელმოწერილი ბრძანება მიიღეს ქვეყნის სამხედრო ყაიდაზე გადასვლის შესახებ.

კრემლში 22-მა ივნისმა, ომის პირველმა დღემ, ყოველგვარი პანიკის, ხმაურისა და კამათის გარეშე ჩაიარა. მხოლოდ სტალინის პირადი მდივანი პოსკრებიშევი მოძრაობდა ჩვეულებრივზე მეტად — აზუსტებდა წუთებსა და წამებს, ვინ როდის უნდა შესულიყო და გამოსულიყო სტალინის სამუშაო ოთახიდან.

## 1941 წლის 22 ივნისი (განთიადი) ბრძოლის ველზე

ომის პირველ დღეზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს არქივების გახსნა და ბრძოლის ველიდან მიღებული წერილების შინაარსის გაცნობა, რომლებშიც ფრონტზე არსებულ ვითარებას გერმანული სიზუსტით აღწერდნენ თვით გერმანელი სამხედროები.

* „ჯერ ჩემს თვალებს არ უნახავს, რასაც აქ ბრძოლის პირველ დღეს ვუყურებ. ეს საფრანგეთი არ არის, ჩვენ სულ სხვა ძალას ვებრძვით“, — წერდა ქმარი მეუღლეს ბერლინში.

* „ჩვენ ვეომებით ადამიანებს, რომლებიც იბრძვიან არა სიცოცხლისთვის, არამედ სიკვდილისთვის. მე ვნახე, როგორ წაართვა რუსმა მებრძოლმა გერმანელ ოფიცერს იარაღი და როგორ მოკლა იგი მისივე იარაღით. ეს იყო პირველი გერმანელი ოფიცერი, რომელიც მკვდარი ვნახე რუსულ მიწაზე, დიდი ბაჯაღლო ოქროს ბეჭდით ხელდამშვენებული“, — გაუგზავნა გერმანელმა უნტეროფიცერმა დეპეშა ადოლფ ჰიტლერს.

ადოლფ ჰიტლერმა კი იმავე დღეს მოაწყო მასშტაბური შეხვედრა, რომელზეც განაცხადა:

— მივიღე პირველი ცნობა პირველი გერმანელი ჯარისკაცის დაღუპვის შესახებ, გაფრთხილებთ: ჩვენ ვუპირისპირდებით არმიას, ძალას, რომელშიც იბრძვიან მხეცები და ცხოველები!

* „წარმოუდგენელია ბრძოლაში ასეთი თავგანწირავა. ოთხი რუსი ჯარისკაცი მედგარ წინააღმდეგობას გვიწევდა საარტილერიო ბატარეას. ისინი სრულიად დაუცველ ტერიტორიაზე, პურის ყანაში იყვნენ ჩამალულნი“, — წერდა შვილი მამას გერმანიაში.

* „საბჭოთა ტანკის ლუკიდან, როდესაც საბრძოლო მანქანა ალყაში მოვაქციეთ და ტყვია-წამალიც გაუთავდათ, ტანკისტმა ამოყო თავი, ამოვიდა და რევოლვერით აგვიტეხა სროლა. ეს თავგანწირვაა“, — წერდა გერმანელი ოფიცერი თავის მეგობარს ბერლინში.

ომის პირველ დღეს ბრესტის ციხესიმაგრეს გერმანელთა რჩეული ქვეითთა 45-ე დივიზია მიადგა. ალყაში მოქცეული საბჭოთა ჯარისკაცები, ყოველგვარი მძიმე შეიარაღების გარეშე, შაშხანებით იცავდნენ ციხესიმაგრეს. ბოლოს ოთხი ჯარისკაცი და ერთი პოლიტხელი დარჩა ბასტიონში, გარშემო კი ეყარა 483 გერმანელი ოფიცრისა და ჯარისკაცის ცხედრები.

ბრესტის ციხესიმაგრის ტრაგედიით შეძრწუნებულმა გერმანელმა ფელდმარშალმა ფონ ბოკმა განკარგულება გასცა, გამოეყვანათ მებრძოლები ციხესიმაგრის მიმდებარე ტერიტორიიდან და ბლოკადა გაეძლიერებინათ.

22 ივნისს ბრესტთან გამართულ ბრძოლას შეეწირა გერმანელთა 483 ოფიცერი და უნტეროფიცერი — ეს სამჯერ მეტია პოლონეთის ბრძოლებში დაკარგულ გერმანელ ოფიცერთა და ჯარისკაცთა რაოდენობაზე და ექვსჯერ მეტი — საფრანგეთის დასაპყრობად ექვსთვიან ბრძოლებში დაღუპულ გერმანელთა რაოდენობაზე.

* „ხელჩართულ ბრძოლაში უიარაღო, ტანსაცმელშემოფლეთილი ჯარისკაცი ჩვენკენ გამოიქცა. გვეგონა, ტყვედ გვბარდებოდა. ახლოს რომ მოვიდა, მესანგრის ნიჩაბი შემოიხსნა და ძლიერად გვესროლა შეძახილით „ზა სტალინა, ზა როდინუ“. ეს არ იყო ვინმეს შიშითა და აგიტაციით ჩადენილი ქმედება, მას სხვა საფუძველი ჰქონდა“, — ჩაწერა თავის დღიურში გერმანელმა ოფიცერმა.

1941 წლის 3 ივლისს სტალინმა რადიოთი მიმართა საბჭოთა ხალხს:

„ამხანაგებო! მოქალაქენო!
ძმებო და დებო! არმიისა
და ფლოტის მეომრებო!
თქვენ მოგმართავთ, ჩემო მეგობრებო!

ჰიტლერული გერმანიის მუხანათური სამხედრო თავდასხმა ჩვენს სამშობლოზე, რომელიც 22 ივნისს დაიწყო, გრძელდება. მიუხედავად წითელი არმიის გმირული წინააღმდეგობისა, მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო დივიზიები და ავიაციის საუკეთესო ნაწილები უკვე დამარცხდნენ და სამარე ჰპოვეს ბრძოლის ველზე, მტერი კვლავ წინ მოძვრება და ახალ-ახალი ძალები მოჰყავს ფრონტზე. ჰიტლერულმა ძალებმა მოახერხეს, ხელში ჩაეგდოთ ლიტვა, ლატვიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ბელორუსიის დასავლეთი ნაწილი, დასავლეთ უკრაინის ნაწილი. ფაშისტური ავიაცია აფართოებს თავისი ბომბდამშენების მოქმედების არეალს, ბომბავს მურმანსკს, მოგილოვს, სმოლენსკს, კიევს, ოდესას, სევასტოპოლს. ჩვენი სამშობლო სერიოზული საფრთხის წინაშეა... მტერი სასტიკი და ულმობელია. იგი მიზნად ისახავს, ხელთ იგდოს ჩვენი ოფლით მორწყული მიწა-წყალი, ხელთ იგდოს ჩვენი ხელით მოპოვებული ჩვენი პური და ჩვენი ნავთობი. იგი მიზნად ისახავს, აღადგინოს მემამულეთა ძალაუფლება, აღადგინოს ცარიზმი, დაანგრიოს რუსთა, უკრაინელთა, ბელორუსთა, ლიტველთა, ლატვიელთა, ესტონელთა, უზბეკთა, თათართა, მოლდაველთა, ქართველთა, სომეხთა, აზერბაიჯანელთა და საბჭოთა კავშირის სხვა თავისუფალი ხალხების ნაციონალური კულტურა და ნაციონალური სახელმწიფოებრიობა. გააგერმანელოს ისინი, გერმანელი თავადებისა და ბარონების მონებად აქციოს ისინი. ამრიგად, საქმე ეხება საბჭოთა სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლეს, სსრ კავშირის ხალხთა სიკვდილ-სიცოცხლეს; საქმე ეხება იმას — თავისუფალი უნდა იყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხები თუ მონობაში უნდა ჩავარდნენ. საჭიროა, საბჭოთა ადამიანებმა შეიგნონ ეს და უკუაგდონ უდარდელობა, რათა მოახდინონ თავიანთი თავის მობილიზება და გარდაქმნან თავიანთი მუშაობა საომარ ყაიდაზე, რომლისთვისაც უცხოა მტრის დანდობა... წითელმა არმიამ, წითელმა ფლოტმა და საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქემ უნდა დაიცვან საბჭოთა მიწა-წყლის ყოველი მტკაველი; სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლონ ჩვენი ქალაქებისა და სოფლებისთვის; უნდა გამოიჩინონ ჩვენი ხალხისთვის დამახასიათებელი გამბედაობა, ინიციატივა და გამჭრიახობა... ჩვენ უნდა დავიწყოთ ულმობელი ბრძოლა, ზურგში დეზორგანიზატორებთან, დეზერტირებთან, პანიკიორებთან, ხმების გამავრცელებლებთან, მოვსპოთ ჯაშუშები, დივერსანტები, მტრის მედესანტე პარაშუტისტები და ყოველივე ამაში სწრაფად დავეხმაროთ ჩვენ მიერ შექმნილ გამანადგურებელ ბატალიონებს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მტერი ვერაგი და ცბიერია, გამოცდილია მოტყუებაში და ცრუ ხმების გავრცელებაში. უნდა გავითვალისწინოთ ყოველივე ეს და არ ავყვეთ პროვოკაციას. საჭიროა, დაუყოვნებლივ მივცეთ სამხედრო ტრიბუნალის სამართალში განურჩევლად პიროვნებისა ყველა, ვინც თავისი პანიკიორობითა და ლაჩრობით ხელს უშლის თავდაცვის საქმეს... ფაშისტურ გერმანიასთან ომი ჩვეულებრივ ომად არ შეიძლება ჩაითვალოს. იგი არა მხოლოდ ორი არმიის ომია, იგი ამასთანავე არის საბჭოთა ხალხის დიდი ომი გერმანელი ფაშისტების ჯარების წინააღმდეგ, ფაშისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ამ საყოველთაო სახალხო სამამულო ომის მიზანია, არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის შექმნილი საფრთხის ლიკვიდაცია, არამედ ისიც, რომ დაეხმაროს ევროპის ხალხებს, რომლებიც გერმანიის ფაშიზმის უღელქვეშ გმინავენ...

იმ მიზნით, რომ სწრაფად მობილიზებულ იქნან საბჭოთა კავშირის ხალხთა ძალები უკუსაგდებად მტრისა, რომელიც მუხანათურად თავს დაესხა ჩვენს სამშობლოს, შექმნილია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომლის ხელშიც ახლა თავმოყრილია მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი შეუდგა მუშაობას და მოუწოდებს ხალხს, დაირაზმოს ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო, იმისთვის, რომ თავდადებით დაეხმაროს წითელ არმიასა და ფლოტს, გაანადგუროს მტერი, მოიპოვოს გამარჯვება!“

**გრიგოლ ონიანი**

## სამძიმარი



**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სოფელ ობუჯის მკვიდრი, ბატონი**

**გურამ მესხია**

**და თანაგრძნობას უცხადებს მის თითოეულ ჭირისუფალს...**

**უფალმა გაანათლოს და აცხონოს ამ შესანიშნავი ადამიანის სული...**

**ჩხონაფედას, პატგნი გურამი მესხიაში შური...**


## სასწაულმოქმედი პრეპარატები «დომენტოლი» და «გაგენოლი» მუდამ იქნებიან თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში




**დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტულ სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ციროზს I და II სტადიებში. C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს და სხვა მრავალ დაავადებას.**

**მკურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.**

**კოორდინატებია: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო „ისანთან“), ყოველდღე — 10-დან 16 საათამდე.**

**ტელ: 593-22-66-51; 593-62-28-48**

**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**



ISSN 1987-8966 „ილორი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 234-32-95

მთავარი რედაქტორი: ეკა ნასყიდაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით: gazeti-ilori@mail.ru (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ „ილორის“ გაცნობა შეგიძლიათ „საქინფორმის“ ვებგვერდზე www.saqinform.ge